186
1986

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN—0132—4241

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5

სექტემბერი—ოქტომბერი

1986 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1845

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5 სექტემბერი—ოქტომბერი 1986 წ.

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

63. „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ივლისის № 876 დადგენილების შესრულების ღონისძიებათა თაობაზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

64. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 19 იანვრის № 58 დადგენილების მე-8 პუნქტის ძალადაკრაგულად ჩათვლის შესახებ.

65. პროდუქციისა დ საქონლის მიწოდების ხელშეკრულებათა შესრულებისათვის გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

66. „მსუბუქ მრეწველობაში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირების გაუმჯობესებისა და მართვის სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 24 აპრილის № 489 დადგენილების რეალიზაციის ღონისძიებათა თაობაზე.

67. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში პერსონალური კომპიუტერების ფართოდ გამოყენების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

68. ბავშვობიდან ინვალიდთა ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

69. ტყეებში და სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაუფარავ მიწებზე ტურისტული ბანაკების, დასასვენებელი ბაზებისა და კარვის ტიპის სხვა ობიექტების განლაგების ნებართვის მიცემის წესის და კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნებისათვის ტყითსარგებლობის წესის შესახებ.

70. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საცალო ვაჭრობის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

71. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სააფთიაქო სამმართველოების შესახებ

72. „საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სისტემის მართვის ორგანოების სტრუქტურის, მუშაკთა რაოდენობისა და შრომის ანაზღაურების პირობების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 დეკემბრის № 851 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლისა და დამატების თაობაზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

63 სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ივლისის № 876 დადგენილების შესრულების ღონისძიებათა თაობაზე

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ივლისის № 876 დადგენილება „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, აკონკრეტებს რა ყრილობის მოთხოვნებს, სახავს ყველა დონეზე სახელმწიფო მართვის შემდგომი სრულყოფის პრაქტიკულ შესაძლებლობებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების დამოუკიდებლობისა და აქტიურობის გაძლიერების, თავიანთ ტერიტორიაზე ცხოვრების ყველა სფეროსათვის მათი პასუხისმგებლობის ამაღლების გზებს.

განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა ზემოაღნიშნული დადგენილების შესრულების ორგანიზაციას, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭომ და რესპუბლიკის ადგილობრივმა საბჭოებმა, განუხრელად იხელმძღვანელონ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ივლისის № 876 დადგენილებით „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და სოციალურ-ეკონომიკური დაჩქარებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ (თან ერთვის), გამოიჩინონ მაქსიმალური მუყაითობა საორგანიზაციო საქმიანობის გარდაქმნის განხორციელების, მისი შინაარსის განახლების, მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესების, თითოეული რეგიონის ეკონომიკისა და სოციალურ-კულტურული სფეროს კომპლექსური განვითარების უზრუნველსაყოფად.

2. მართვის დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების უკეთ შეხამებისა და რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების იმ საწარმოთა

და ორგანიზაციათა მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, რომელთა პროდუქცია და მომსახურება ძირითადად გამოიყენება ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და ქალაქების ტერიტორიაზე, უფლება მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თანხმობით შექმნან დარგთაშორისი და მეურნეობათაშორისი ტერიტორიულ-საწარმოო გაერთიანებანი მათ შემადგენლობაში რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა შეყვანით. რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების დარგების საწარმოები და ორგანიზაციები შეიძლება შეყვანილ იქნენ ამ გაერთიანებათა შემადგენლობაში სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით.

გაერთიანებათა შექმნისას ფართოდ გამოიყენონ ფოთის და რესპუბლიკისა და ქვეყნის სახალხო დეპუტატთა სხვა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების დადებითი გამოცდილება, რომელთა ტერიტორიაზეც უკვე ფუნქციონირებენ ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანებანი. აღნიშნულ გაერთიანებათა აპარატი შექმნან მათ შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის დაწესებული ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა მოსამსახურეთა რიცხოვნობის ფარგლებში.

საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების დარგების საწარმოებმა და ორგანიზაციებმა (ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების შემადგენლობაში მათი შეყვანისას) უზრუნველყონ ზემოაღნიშნული ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანებებისათვის საჭირო საშტატო ერთეულების და შესაბამის ზღვრულ ასიგნებათა გამოყოფა.

საქართველოს სსრ მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიამ ორი თვის ვადაში შეიმუშაოს ახალი ტიპობრივი დებულება ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ივლისის № 876 დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინებით და შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით დადგენილი წესით წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად.

ერთი მხრივ, ადგილობრივი საგეგმო ორგანოების — საგეგმო კომისიების და, მეორე მხრივ, ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანებების საქმიანობის უკეთ კოორდინაციისათვის მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ საგეგმო კომისიათა თავმჯდომარეები ამავე დროს იყვნენ ამ გაერთიანებათა უფროსები, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული (ქალაქებში) საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა პირველი მოადგილეები.

სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნების გათვალისწინებით და დაგეგმვასა და მართვაში ტერიტორიული და დარგობრივი ინტერესების შეხამების უფრო მაღალი დონის მიღწევის, ამ მუშაობის უკეთ კოორდინაციის მიზნით მიზან-

შეწონილად ჩაითვალოს რესპუბლიკის დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების საგეგმო-ეკონომიკურ სამმართველოთა (განყოფილებათა) შემადგენლობაში იყოს ტერიტორიული დაგეგმვის საკითხებით დასაქმებულ მუშაკთა ჯგუფი მთლიანად სამინისტროს (უწყების) ცენტრალური აპარატისათვის დამტკიცებული მუშაკთა საერთო რიცხოვნობის ფარგლებში.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა:

ა) შეიმუშაოს ძირითადი მაჩვენებლების თანახმად რესპუბლიკის ტერიტორიაზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტები სამინისტროთა და უწყებათა მიხედვით და წარმოუდგინოს ისინი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემდგომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, ხოლო დარგების განვითარების ხაზით— სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებში წარსადგენად.

ბ. თბილისის, ქუთაისის, ფოთისა და რუსთავისათვის რჩება კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავებისა და დამტკიცების მოქმედი წესი;

ბ) შეიმუშაოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი ტერიტორიული დაგეგმვის ძირეული გაუმჯობესებისათვის, უფრო მიზანდასახული ხასიათი მისცეს რეგიონების, ქალაქებისა და რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შედგენასა და განხილვას, ამასთან მხედველობაში იქონიოს, რომ საჭიროა მათში აისახოს როგორც დარგობრივი გეგმების მონაცემები, ისევე სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების, შრომითი კოლექტივების დასაბუთებული წინადადებანი ზრდის ტემპის დაჩქარებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების არსებულ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოვლენისა და გამოყენებისათვის.

4. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა, მოყოლებული 1987 წლიდან:

ა) გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოებისაგან მიღებული გეგმების პროექტების ძირითადი მაჩვენებლების ბაზაზე შეიმუშაონ შესაბამისი ტერიტორიების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტები და წარუდგინონ ისინი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა რესპუბლიკის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით განიხილოს აღნიშნული გეგმების პროექტები სავალდებულო წესით და სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასკომებთან შეთანხმებული ძირითად მაჩვენებელთა პარამეტრები წარმოადგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შემადგენლობაში;

ბ) სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის მოცულობის გადიდებასთან და პასუხისმგებლობის გაძლიერებასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად ჩაითვალოს აღმასკომების საგეგმო კომისიების აპარატების გაფართოება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ვარაუდით, რომ მათ მიენიჭოთ მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მშენებლობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის სხვა დარგების საწარმოთა და ორგანიზაციათა სახელმძღვანელოდ საბჭოს სამუშაო აპარატის ფუნქციები. გაფართოება მოხდეს შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა რიცხოვნობის ხარჯზე.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა:

ა) ლენინგრადის ორგანიზაციათა გამოცდილების გამოყენებით და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით შეიმუშაონ და განახორციელონ საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკურ და რესპუბლიკურ სამინისტროთა და უწყებათა საწარმოო გაერთიანებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად ღონისძიებანი არსებული საწარმოო პოტენციალის გამოყენების გაუმჯობესების, ცვლიანობის კოეფიციენტის ამაღლების და საწარმოო მშენებლობაზე კაპიტალურ დაბანდებათა ნაკლები მოცულობით პროდუქციის გამოშვების ზრდის უზრუნველსაყოფად;

ბ) შეიტანონ თავიანთ ტერიტორიაზე განლაგებულ სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციათა გეგმებში, მიუხედავად უწყებრივი დაქვემდებარებისა, მათი პროფილის შესაბამისად სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო-საძიებო და საკონსტრუქტორო სამუშაოთა შესრულების დავალებანი ადგილობრივი პრობლემების გადასაჭრელად აღნიშნული ორგანიზაციების სამუშაოთა საერთო წლიური მოცულობის ერთ პროცენტამდე ოდენობით;

გ) დაუწესონ არსებულ საწარმოო შესაძლებლობათა გათვალისწინებით გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, მიუხედავად უწყებრივი დაქვემდებარებისა, ადგილობრივი მეურნეობის საჭიროებისათვის არასტანდარტიზებული მოწყობილობისა და მექანიზაციის საშუალებათა დამზადების დავალებანი ამ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა პროდუქციის წლიური გამოშვების ერთ პროცენტამდე ოდენობით.

აღნიშნული სამუშაოები და პროდუქცია ანაზღაურდეს რესპუბლიკური (ავტონომიური) და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრების ხარჯზე;

დ) რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა გააძლიერონ ზემოქმედება გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების ფორმირებაზე იმ საკითხებში, რომლებიც სახალხო დეპუტატთა საბჭოების გამგებლობას განეკუთვნება, ამასთან მხედველობაში იქონიონ შრომითი კოლექტივებისა და მოსახლეობის სოციალურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილება, ამის საფუძველზე მაღალნაყოფიერი, ეფექტიანი მუშაობისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა.

7. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულმა საწარმოთა [illegible]ნებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, მიუხედავად უწყებრივი დაქვემდებარებისა, ზემდგომ ორგანოებში წლიური და ხუთწლიანი გეგმების პროექტების წარდგენამდე შეუთანხმონ ისინი სავალდებულო წესით შესაბამის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს დარგთაშორის წარმოებათა შექმნის, სოციალური სფეროს განვითარების, კაპიტალური მშენებლობის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების გაფართოების, შრომითი რესურსების, ადგილობრივი ნედლეულისა და მასალების, მეორეული რესურსების გამოყენების, ბუნების დაცვის, მიწათსარგებლობის და სხვა მაჩვენებლების მხრივ, რომლებსაც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი აწესებს. ამასთან გაითვალისწინონ ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციის ღონისძიებანი, შრომითი კოლექტივების მიერ გეგმათა პროექტების განხილვის შედეგები, აგრეთვე მათ მიერ მოწონებული გადაწყვეტილებანი წარმოების განვითარების ფონდის და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის ერთობლივი გამოყენების შესახებ.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა:

ა) უზრუნველყონ საქართველოს სსრ შრომითი რესურსების ბალანსების, ხოლო მათ საფუძველზე რესპუბლიკის რეგიონების მიხედვით სახალხო მეურნეობის დარგებში მუშაკთა პერსპექტიული რიცხოვნობის გაანგარიშებული მონაცემების შემუშავება;

ბ) აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან, გაერთიანებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყონ სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის ჩატარება და ამის გათვალისწინებით შესაბამისი ტერიტორიის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი და წლიური გეგმების შემადგენლობაში თავისუფალი სამუშაო ადგილებისა და საჭირო შრომითი რესურსების ბალანსების შემუშავება.

9. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ, რომ საქვეუწყებო გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა გეგმათა პროექტებში გასათვალისწინებელი მუშაკთა რიცხოვნობა შეუთანხმონ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს.

10. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) გაითვალისწინონ, მოყოლებული 1987 წლიდან, კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემადგენლობაში მოსახლეობის სასურსათო საქონლით უზრუნველყოფის ღონისძიებანი, უწინარეს ყოვლისა, ადგილობრივი წარმოების ხარჯზე, საერთო-საკავშირო და რესპუბლიკურ ფონდებში მიწოდების დაწესებულ ვალდებულებათა გათვალისწინებით;

ბ) ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დამხმარე სასოფლო მეურნეობათა განვითარებას, მათ კოოპერირებას შრომითი კოლექტივების და მთლიანად მოსახლეობის სურსათით მომარაგების გასაუმჯობესებლად. აქტიურად შეუწყონ ხელი მებაღეობის ამხანაგობებისა და მებოსტნეთა კოლექტივების, მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების განვითარებას.

11. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების 1986-2000 წლების კომპლექსური პროგრამით დასახული ამოცანების რეალიზაციაში რესპუბლიკური და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების როლის გაძლიერების მიზნით აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

ა) უზრუნველყონ სახალხო მოხმარების მაღალხარისხოვანი საქონლის წარმოების განუწყვეტელი ზრდა და მომსახურების სფეროს განვითარების დაჩქარება, საქონლის, გამოშვებისა და მომსახურების გაწევის მოცულობის შეწონასწორება მოსახლეობის ფულად შემოსავალთან;

ბ) მიიზიდონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებასა და მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გაწევაში აქტიური მონაწილეობისათვის გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები, მიუხედავად უწყებრივი დაქვემდებარებისა;

გ) ახალ სახეობათა პროდუქციის ფასების დაწესებისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მათს ტექნიკურ-ეკონომიკურ დონეს, ხარისხსა და სამომხმარებლო თვისებებს, მაქსიმალურად გამოიყენონ ფასების მასტიმულირებელი როლი საქონლის ხარისხის გასაუმჯობესებლად და წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად;

დ) წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ 1986-1987 წლებში დადგენილი წესით გადაეცეს ადგილობრივ დაქვემდებარებაში ის გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები, რომელთა პროდუქცია უშუალოდ არის დაკავშირებული შესაბამისი ტერიტორიის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან;

ე) ეფექტიანად გამოიყენონ მინიჭებული უფლება — დაუწესონ ადგილობრივი და მეორეული რესურსების გამონახვის, ნედლეულისა და მასალების ზეგეგმითი ეკონომიის, საწარმოო სიმძლავრეთა უფრო სრულად გამოყენების საფუძველზე გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, მიუხედავად უწყებრივი დაქვემდებარებისა, მოთხოვნილების მქონე სახალხო მოხმარების საქონლის დამატებითი გამოშვების დავალებანი და დაიტოვონ თავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანთ განკარგულებაში აღნიშნული დავალებების მიხედვით დამუშავდეს საქონლის მთელი მოცულობა;

ვ) გააძლიერონ კონტროლი თავიანთ ტერიტორიაზე განლაგებული გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გამოშვებული სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ასორტიმენტისადმი;

ზ) დაუმტკიცონ შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებულ გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, მიუხედავად უწყებრივი დაქვემდებარებისა, მოსახლეობის ფასიანი მომსახურების რეალიზაციის გეგმები.

12. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, სხვა სამინისტროებმა (უწყებებმა) წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ განახორციელონ მეთორმეტე ხუთწლედში ღონისძიებანი სისტემაში სახალხო მოხმარების საქონლის გამომშვებ, ბინებისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის სარემონტო, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სამკერვალო და სარემონტო მცირე საწარმოთა ქსელის, ისეთი ტექნოლოგიისა და მოწყობილობის გამოყენებით მოსახლეობის სხვა მომსახურების განვითარებისათვის, რომლებიც საშუალებას იძლევიან სწრაფად შეიცვალოს ნაკეთობათა ასორტიმენტი და მომსახურების სახეობანი მათზე მოთხოვნილების შესაბამისად, აგრეთვე ორგანიზაცია გაუწიონ ამ მიზნით მოქალაქეთა კოოპერაციული და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სხვადასხვა ფორმას, ხოლო საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განაზოგადოს მათ მიერ წარმოდგენილი მასალები და შემოიტანოს შესაბამისი წინადადება 1987 წლის 1 იანვრისათვის.

13. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა პროფკავშირულ, კომკავშირულ, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, შრომით კოლექტივებთან და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებთან ერთად:

ა) გამოიყენონ მთელი არსებული შესაძლებლობანი ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების მცირე საწარმოების, სპორტული დარბაზების განსალაგებლად გამოუყენებელი და გასათავისუფლებელი სადგომების ხარჯზე;

ბ) შეუქმნან შეძლებისდაგვარ შრომითს საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის საჭირო პირობები პენსიონერებს, ქალებს, რომელთაც ჰყავთ მცირეწლოვანი შვილები, მოსწავლეებს, ამასთან დაუწესონ მათ სურვილისამებრ სრიალა სამუშაო გრაფიკი, არასრული სამუშაო დღე, შინშრომის გამოყენება;

გ) შეიმუშაონ და განახორციელონ მეთორმეტე ხუთწლედში ორგანიზაციულ ღონისძიებათა კომპლექსი ომისა და შრომის ვეტერანთა, დაღუპული მეომრების ოჯახთა, ინვალიდთა, ხანდაზმულ მოქალაქეთა სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო და კულტურული მომსახურების ძირეული გაუმჯობე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებისათვის. განავითარონ მარტოხელა, ღრმად მოხუცებულ და ეროვნულ-უნარო მოქალაქეთა ბინაზე მომსახურება;

დ) საკურორტო მეურნეობის მართვის სრულყოფის, მომსახურების სხვადასხვა სამსახურის მუშაობის კოორდინაციის, მომსახურების კომპლექსურობის, კულტურის გაუმჯობესებისა და გაფართოების ყველა შესაძლებლობის გამოყენების მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალოს შექმნან ქ. სოხუმის, ბათუმისა და გაგრის ანალოგიით კომპლექსური მომსახურების კომბინატები ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

14. ცენტრალიზებულად დაუგეგმავ მასობრივი მოთხოვნილების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის უფრო სრულად დაკმაყოფილების, მათ გამოშვებაში გაუმართლებელი დუბლირების აღმოფხვრის, ამ საქონლის ხარისხისა და წარმოების რენტაბელობის ამაღლების მიზნით შეიქმნას საზოგადოებრივ საწყისებზე ასეთი საქონლის წარმოების განვითარებისა და განლაგების რესპუბლიკური საკოორდინაციო ცენტრი.

საკოორდინაციო ცენტრის მუშაობა მოეწყოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსა და „ცენტროსოიუზის“ მიერ დამტკიცებული სანიმუშო დებულების შესაბამისად.

15. კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობის ამაღლებისა და მისი ორგანიზაციის სრულყოფის, სახალხო მეურნეობის ამ დარგისადმი ხელმძღვანელობაში რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების უფლებათა გაფართოების, სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაჩქარებული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა რეგიონის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტებთან ერთად წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სამინისტროებთან და უწყებებთან და სამშენებლო ორგანიზაციებთან შეთანხმებული საცხოვრებელი სახლების, სკოლამდელი დაწესებულებების, სკოლების, პოლიკლინიკების, საავადმყოფოების, სტადიონების, სოციალურ-კულტურული სფეროს სხვა ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის კრებსითი გეგმები და რეგიონის ტერიტორიაზე სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების სიმძლავრეთა და მათი დატვირთვის კრებსითი გაანგარიშებანი (ბალანსები), მიუხედავად უწყებრივი დაქვემდებარებისა, და წინადადებანი ნორმატიულ ვადებში ობიექტების მშენებლობის უზრუნველსაყოფად მათი სიმძლავრეების რაციონალური გამოყენებისა და გადიდების შესახებ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განაზოგადოს კრებსითი გაანგარიშებანი და გეგმები რეგიონების მიხედვით და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად.

16. ბუნებადაცვითი საქმიანობის რეგულირებასა და მართვაში რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების როლის ამაღლების მიზნით მიზანშე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წონილად ჩაითვალოს გარდაიქმნას საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი საქართველოს სსრ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების რეგულირების სახელმწიფო კომიტეტად. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა 1986 წლის ბოლომდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ ძინისტრთა საბჭოს დადგენილი წესით შეთანხმებული წინადადებანი აღნიშნულ საკითხზე.

17. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა გააძლიერონ მუშაობა წიაღიდან მინერალური ნედლეულის უფრო სრულად ამოღების, რაციონალური და კომპლექსური გადამუშავების, მისი კომპონენტებისა და გადახსნილი ქანების უკეთ გამოყენების უზრუნველსაყოფად, ამასთან მიაღწიონ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა (მიუხედავად უწყებრივი დაქვემდებარებისა) . საჭირო ურთიერთძოქმედებას ამ საკითხების გადასაწყვეტად.

18. სამეურნეო ბრუნვაში მეორეული მატერიალური რესურსების უფრო სრულად ჩართვის, მეორეული ნედლეულის შეგროვებისა და ეფექტიანი გამოყენებისათვის ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა საქართველოს სსრ სახმომარაგებისა და სხვა სამინისტროთა და უწყებათა შესაბამის ორგანოებთან ერთად მოაწყონ მეორეული ნედლეულია აღრიცხვა, დაუწესონ სახალხო მოხმარების საქონლისა და სხვა პროდუქციის საწარმოებლად მისი შეგროვებისა და გამოყენების დავალებანი შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებულ გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, მიუხედავად უწყებრივი დაქვემდებარებისა. ამასთან შეიმუშაონ და განახორციელონ მეორეული ნედლეულის მიმღები მოძრავი პუნქტებისა და სტაციონარული პუნქტების, აგრეთვე სასურსათო და სამრეწველო საქონლის დასაბრუნებელი ტარის მიმღები პუნქტების ქსელის გაფართოების ღონისძიებანი შემდეგი ანგარიშით: ყოველ 10 ათას მცხოვრებზე — 1 სტაციონარული და ყოველ 20-25 მცხოვრებზე — 1 მოძრავი პუნქტი; დააწესონ მოსახლეობისათვის მაქსიმალურად მოსახერხებელი მათი მუშაობის რეჟიმი.

1987 წლის 1 იანვრისათვის დაამთავრონ ყოველგვარი მეორეული ნედლეულის პასპორტიზაცია ტერიტორიაზე და წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ სახმომარაგებას წინადადებანი მათი გამოყენების შესახებ.

შექმნან ეკონომიკური მიზანშეწონილობის შემთხვევაში მეორეული ნედლეულის კომპლექსური გადამუშავებისა და მისგან სახალხო მოხმარების საქონლის და საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის დამზადების სამეურნეოანგარიშიანი გაერთიანებანი, შექმნან წილობრივ საწყისებზე მეორეული ნედლეულის დამზადებისა და დამუშავების ორგანიზაციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაწყონ ნახმარი ავეჯის, სამეურნეო ინვენტარისა და ტარის, აგრეთვე შენობა-ნაგებობათა აღების, რეკონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტის დროს წარმოქმნილი საშენი და სხვა მასალების მიყიდვა მოსახლეობისათვის.

19. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ტერიტორიაზე განლაგებულ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის გაუმჯობესებით მათი დაინტერესების გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად უზრუნველყოს ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლის ნაწილის ფორმირება რესპუბლიკური დაქვემდებარების გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის შედეგებზე უფრო მეტი დამოკიდებულებით.

ამ მიზნით:

ა) გააფართოოს რესპუბლიკური დაქვემდებარების გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მოგების გადასახდელთა ნაწილის ადგილობრივ ბიუჯეტებში გადაცემის პრაქტიკა;

ბ) შემოიღოს, მოყოლებული 1988 წლიდან, წესი ბრუნვის გადასახადის გადარიცხვისა ადგილობრივ ბიუჯეტებში სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობის ფიქსირებული ოდენობით (პროცენტობით).

20. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა გააერთიანონ შრომითი კოლექტივების თანხმობით შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებულ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა (მიუხედავად უწყებრივი დაქვემდებარებისა) სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდების სახსრები, აგრეთვე ადგილობრივი საბჭოების სახსრები წილობრივ საწყისებზე საცხოვრებელი სახლების, სამედიცინო და სკოლამდელი დაწესებულებების, დასასვენებელი ბაზების, პიონერბანაკებისა და არასაწარმოო დანიშნულების სხვა ობიექტების ასაშენებლად. პრაქტიკაში შემოიღონ სოციალური სფეროს განვითარებისათვის ბიუჯეტის რესურსებისა და ზემოაღნიშნული სახსრების ერთობლივი გამოყენება. მიიღონ ზომები კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის, აგრეთვე ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობის გასაფართოებლად მომავალ ახალმოსახლეთა შრომითი მონაწილეობით.

21. გაფართოვდეს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების მართვის ორგანოთა უფლებანი საბჭოთა ორგანოების აპარატის სტრუქტურის სრულყოფისა და კვალიფიციური კადრებით განმტკიცების დარგში, რისთვისაც:

ა) უფლება მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს,

ხელფასის დაწესებული ფონდიდან გამომდინარე, დაამტკიცონ — შესაბამისად — ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, მათი სამმართველოებისა და განყოფილებების აპარატის სტრუქტურა და შტატები, ამასთან იხელმძღვანელონ თანამდებობრივი სარგოების სქემით (ცალკეული კატეგორიების მუშაკთა რიცხოვნობის და სქემის მიხედვით საშუალო თანამდებობრივი სარგოების დაწესებული თანაფარდობის გაუთვალისწინებლად);

ბ) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ დააწესონ ავტონომიური რესპუბლიკების მართვის ორგანოებისა და მართვის ადგილობრივი ორგანოების აპარატისათვის ხელფასის ფონდი 1987-1990 წლებისათვის ამ მიზნით სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დაწესებული ხელფასის ფონდის შესაბამისად;

გ) გაუქმდეს 1987 წლის 1 იანვრიდან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მათი სამინისტროებისა და უწყებების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, მათი სამმართველოებისა და განყოფილებების აპარატისათვის მმართველობის აპარატის მუშაკთა რიცხოვნობის ლიმიტების, აგრეთვე ამ აპარატის მუშაკთა შენახვის ზღვრული ასიგნებების დამტკიცება;

დ) ნება დაერთოთ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაუწესონ საბჭოთა ორგანოების მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს დანამატები თანამდებობრივი სარგოს 50 პროცენტამდე ოდენობით ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე, რაც მიიღება მუშაკთა რიცხოვნობის შემცირების შედეგად. ეს დანამატები მუშაობის ხარისხის გაუარესებისას შეიძლება გაუქმდეს ან შემცირდეს;

ე) განმტკიცდეს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების იურიდიული სამსახური, მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შტატებში იყვნენ იურისკონსულტები.

22. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა განახორციელონ მეთორმეტე ხუთწლედში ღონისძიებანი სახალხო დეპუტატთა სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების შენობებით, მოწყობილობით, ინვენტარითა და სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველსაყოფად. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ დააწესონ ადმინისტრაციული სახლების მშენებლობის დავალებანი წლების მიხედვით დაყოფით სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის სახმომარაგების მიერ სსრ კავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტებში გათვალისწინებული მოცულობითა და წესით.

23. საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მითითებით შეიტანოს ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი საანგარიშგებო სტატისტიკური მონაცემების შემუშავებისა და წარდგენის წესში.

* *
*

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები გამოიჩენენ მაქსიმალურ პასუხისმგებლობასა და ინიციატივას თავიანთი მუშაობის ძირეული გაუმჯობესებისათვის, რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და ქვეყნის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განმტკიცებაში მისი წვლილის გადიდების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ჯ. პატიაშვილი	**პ. გილაშვილი**	**ო. ჩერქეზია**

ქ. თბილისი, 1986 წ. 14 ოქტომბერი, № 677

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 876

1986 წლის 25 ივლისი

მოსკოვი, კრემლი

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

სკკპ XXVII ყრილობის მიერ მოწონებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგიული კურსის განხორციელება მოითხოვს სახალხო დეპუტატთა საბჭოების — სსრ კავშირის პოლიტიკური საფუძვლის, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის მთავარი რგოლის მუშაობის შემდგომ გააქტიურებას, საჭიროა გაძლიერდეს მათი საქმიანობა, რათა დარაზმონ მშრომელთა ფართო მასები საბჭოთა საზოგადოების წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად, ხალხის მოთხოვნათა და საჭიროებათა დაკმაყოფილების მიზნით ყველა შესაძლებლობის უკეთ გამოსაყენებლად. უნდა გაფართოვდეს საბჭოების უფლებამოსილებანი, გაიზარდოს მათი პასუხისმგებლობა საკუთარ ტერიტორიაზე ცხოვრების ყველა სფეროსათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო **ადგენენ:**

1. სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა გათვალისწინებით განხორციელდეს ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა მიზანია:

გაძლიერდეს სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლი მათს ტერიტორიაზე ეკონომიკისა და სოციალურ-კულტურული სფეროს კომპლექსური განვითარების უზრუნველყოფაში, საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპისა და ეფექტიანობის გადიდების დაჩქარებაში, გაიზარდოს ამ საფუძველზე რეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკების, მხარეების, ოლქების, ოკრუგების, რაიონების, ქალაქებისა და სოფლების წვლილი ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განმტკიცებაში;

გაფართოვდეს რესპუბლიკური და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების უფლებები სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მომსახურების სფეროს, დარგთაშორისი წარმოებების, კაპიტალური მშენებლობის, ბუნებადაცვითი საქმიანობის, სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სხვა საკითხების გადაწყვეტაში;

გაძლიერდეს საბჭოების პასუხისმგებლობა სასურსათო და სამრეწველო საქონელზე, ბინაზე, სოციალურ-კულტურულ და საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე, მათდამი დაქვემდებარებული ტერიტორიის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის;

დაიხვეწოს საბჭოების ხელმძღვანელობა და მათი თანამოქმედება შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებულ გაერთიანებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, გაძლიერდეს მათი ურთიერთდაინტერესება მეურნეობრიობის შედეგების გაუმჯობესებით.

კიდევ უფრო გაღრმავდეს დემოკრატიული საწყისები საბჭოების საქმიანობაში, დაიხვეწოს მათი მუშაობის მეთოდები და სტილი, განმტკიცდეს საბჭოთა ორგანოების აპარატი კვალიფიციური კადრებით.

კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფა და მეურნეობრიობის ეფექტიანობის გადიდება

2. საჭიროდ იქნეს მიჩნეული სახალხო დეპუტატთა საბჭოების მაკოორდინირებელი როლის გაძლიერება დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრაში.

ამ მიზნით სახალხო დეპუტატთა საბჭოებს მიენიჭოთ უფლება, ორგანიზაცია გაუწიონ იმას, რომ:

გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა განახორციელონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ხარისხის გაუმჯობესების და მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების ზრდის რეზერვების გამოსავლენად და გამოსაყენებლად გამიზნული ერთობლივი ღონისძიებები, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციები, უმაღლესი სასწავლებლები ჩაებან მოსახლეობისათვის საჭირო ახალ სახეობათა საქონლის შექმნისა და მისი ხარისხის ძირეული გაუმჯობესების მუშაობაში;

აწარმოონ კოოპერაციულ საწყისებზე მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებები ხელის, ნაკლებკვალიფიციური შრომის გამოყენების შესამცირებლად, ერთობლივად შეიძინონ და ექსპლუატაცია გაუწიონ, აგრეთვე გააქირავონ პროგრესული მოწყობილობა, ხელსაწყოები და აპარატურა, შექმნან კოლექტიური სარგებლობის გამოთვლითი ცენტრები, გაერთიანებული სალაბორატორიო-საექსპერიმენტო სამეცნიერო და საკონსტრუქტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

8405

რო სამსახურები რამდენიმე საწარმოსა და ორგანიზაციის საჭიროებისათვის;

გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა წილობრივი მონაწილეობა მიიღონ სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა მრეწველობის სიმძლავრეთა განვითარებაში, აგრეთვე შექმნან ამ პირობებით სპეციალიზებული საწარმოები და ორგანიზაციები საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების სამუშაოების შესასრულებლად;

ერთობლივად ააშენონ და ექსპლუატაცია გაუწიონ საწარმოო ინფრასტრუქტურის ობიექტებს, ბუნებადაცვითს ნაგებობებსა და დანადგარებს, საცხოვრებელ სახლებს, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს, სანატორიუმებს, პოლიკლინიკებს, საავადმყოფოებს, სკოლამდელ დაწესებულებებს, კულტურის სასახლეებს, კლუბებს, სტადიონებსა და სოციალურ-კულტურული დანიშნულების, აგრეთვე კომუნალური მეურნეობის სხვა ობიექტებს;

კოორდინაცია გაუწიონ გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას მასალების, სათბობის, სითბური და ელექტრული ენერგიის დაზოგვის დამატებითი რეზერვების გამონახვისა და ამოქმედებისათვის, ბუნებრივი და სხვა რესურსების კომპლექსური გამოყენებისათვის, მეორეული ნედლეულის, წარმოებისა და მოხმარების ნარჩენების უტილიზაციისათვის;

გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა სახელშეკრულებო პირობებით გადასცენ დროებით დაუტვირთავი საწარმოო სიმძლავრეები, მოწყობილობა და სასაწყობო სათავსები სხვა გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს;

გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები ჩაებან მოსახლეობის მომსახურებაში, კოოპერაციულ საწყისებზე სპორტული, ტურისტული და სხვა კლუბების ორგანიზაციაში.

მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული, რომ საბჭოების მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელების ხარჯზე დაზოგილი სახსრების ნაწილი გადაეცეს მოკავშირე (ოლქებად დაუყოფელი) და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, რათა გამოიყენონ ეს სახსრები შესაბამისი ტერიტორიის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახმშენმა შეიმუშაონ 1986 წელს აღნიშნული ეკონომიის განსაზღვრისა და მისი გამოყენების წესი.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებმა და უწყებებმა იხელმძღვანელონ საერთო-სახელმწიფო ინტერესებით და ყოველნაირად დაუჭირონ მხარი სახალხო დეპუტატთა საბჭოების ინიციატივიან წინადადებებს, შეუქმნან საქვეუწყებო გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ერთობლივად გადაჭრის პირობები.

საქ. სსრ ა. მარქსის

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა საჭიროების შემთხვევაში დააზუსტონ და შეავსონ მათ მიერ დამტკიცებული ნორმატიული დოკუმენტები დებულებებით სახალხო დეპუტატთა საბჭოების მიერ წამოყენებულ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ღონისძიებათა განსახორციელებელად საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსური სახსრებისა და მატერიალური რესურსების გაერთიანების წესის შესახებ.

3. მართვის დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების უკეთ შეხამებისა და რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების იმ საწარმო-ორგანიზაციათა მუშაობის ეფექტიანობის გადიდების მიზნით, რომელთა პროდუქცია და მომსახურება ძირითადად გამოიყენება რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და ქალაქების ტერიტორიაზე, მიენიჭოთ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების შესაბამის აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება შექმნან, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თანხმობით, დარგთაშორისი და მეურნეობათაშორისი ტერიტორიულ-საწარმოო გაერთიანებები და შეიყვანონ მათს შემადგენლობაში რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოები და ორგანიზაციები. საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები და ორგანიზაციები ამ გაერთიანებათა შემადგენლობაში შეიძლება შეიყვანონ სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით.

გაერთიანებათა ორგანიზაციის დროს მიზანშეწონილია გამოიყენონ ფოთის საქალაქო აღმასკომის, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სხვა აღმასრულებელი კომიტეტების გამოცდილება. აღნიშნულ გაერთიანებათა აპარატი იქმნება ამ საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის დადგენილი ხელმძღვანელი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და სხვა მოსამსახურეების რიცხვის ფარგლებში.

4. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, ლენინგრადის ორგანიზაციათა გამოცდილების გამოყენებისა და ადგილობრივი პირობების გათვალისწინების საფუძველზე საერთო საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკურ და რესპუბლიკურ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა გაუმჯობესდეს არსებული სამრეწველო პოტენციალის გამოყენება, გადიდდეს ცვლიანობის კოეფიციენტი და გაიზარდოს პროდუქციის გამოშვება საწარმოო მშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა შემცირების პირობებში.

5. მიენიჭოთ მოკავშირე (ოლქებად დაუყოფელი) და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო, მოსკოვისა და ლენინგრადის საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) შეიტანონ მათს ტერიტორიაზე განლაგებული სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების (უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) გეგმებში მათი პროფილის შესაბამისი დავალებები, რომელთა მიზანია სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საძიებო და საკონსტრუქტორო სამუშაოების შესრულება ადგილობრივი პრობლემების გადასაჭრელად აღნიშნული ორგანიზაციების სამუშაოთა საერთო წლიური მოცულობის ერთ პროცენტამდე ოდენობით;

ბ) დაუწესონ გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა გათვალისწინებით ადგილობრივი მეურნეობის საჭიროებებისათვის არასტანდარტიზებული მოწყობილობისა და მექანიზაციის საშუალებათა დამზადების დავალებანი ამ გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების პროდუქციის წლიური გამოშვების ერთ პროცენტამდე ოდენობით.

აღნიშნული სამუშაოები და პროდუქცია ანაზღაურდება რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრების ხარჯზე.

6. დაწესდეს, რომ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, 1987 წლიდან მოყოლებული, გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოებისაგან მიღებული გეგმების პროექტების ძირითადი მაჩვენებლების ბაზაზე ამუშავებენ შესაბამის ტერიტორიებზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიან და წლიურ გეგმათა პროექტებს და წარუდგენენ მათ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტებს.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით ამუშავებენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტებს სამინისტროებისა და უწყებების განხრით და წარუდგენენ მათ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, ხოლო დარგების განვითარების მიხედვით — სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს გეგმების პროექტების მომზადებისას გამოყენებისათვის.

ქალაქებში მოსკოვსა და ლენინგრადში, მოსკოვისა და ლენინგრადის ოლქებში ძალაში რჩება კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავებისა და განმტკიცების მოქმედი წესი.

7. სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა გააძლიერონ ზემოქმედება გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების ჩამოყალიბებაზე იმ საკითხების მიხედვით, რომლებსაც საბჭოები განაგებენ, და მხედველობაში იქონიონ შრომითი კოლექტივებისა და მოსახლეობის სოციალური და საყოფაცხოვრებო საჭიროებათა უფრო სრულად დაკმაყოფილება, ამ საფუძველზე დიდნაყოფიერი, ეფექტიანი მუშაობის პირობების უზრუნველყოფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესდეს, რომ საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები ზემდგომ ორგანოებში წლიური და ხუთწლიანი გეგმების პროექტების წარდგენამდე სავალდებულო წესით უთანხმებენ მათ მოკავშირე (ოლქებად დაუყოფელი), ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის მინისტრთა საბჭოს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ისეთ საკითხებში, როგორიც არის სოციალური სფეროს, მშენებლობის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვაგვარი მომსახურების განვითარება, შრომითი რესურსების, ადგილობრივ სახეობათა ნედლეულისა და მასალების, მეორეული რესურსების გამოყენება, ბუნების დაცვა, მიწათსარგებლობა და სხვა მაჩვენებლები, რომლებსაც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ადგენს.

ამასთან გათვალისწინებული უნდა იყოს ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციის ღონისძიებანი, შრომითი კოლექტივების მიერ გეგმათა პროექტების განხილვის შედეგები, აგრეთვე მათ მიერ მოწონებული გადაწყვეტილებანი წარმოების განვითარების ფონდისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის გამოყენების თაობაზე.

8. სამინისტროებისა და უწყებების მიერ საწარმოო ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების უფრო ეფექტიანი გამოყენების, ამ საკითხებში უწყებრივი დაქსაქსულობის დაძლევის მიზნით უფლება მიენიჭოთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მათს ტერიტორიაზე ასაშენებლად დასახული საწარმოო ობიექტები, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, გააერთიანონ სამრეწველო კვანძებად და სსრ კავშირის მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან ან მოკავშირე რესპუბლიკების მშენებლობის საქმეთა შესაბამის კომიტეტებთან ერთად დაამტკიცონ აღნიშნული კვანძების გენერალური გეგმების სქემები და მთავარი მენაშენეები.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს წლიური და ხუთწლიანი გეგმების პროექტებში სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისათვის, რომლებიც სამრეწველო კვანძების მთავარ მენაშენე საწარმოებს განაგებენ, აღნიშნული ობიექტების მშენებლობის კაპიტალურ დაბანდებათა და სპეციალურ სამუშაოების მოცულობათა გადაცემა სამრეწველო კვანძების გენერალური გეგმების დამტკიცებული სქემების შესაბამისად.

9. შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენების, მათი დარგთაშორისი და რაიონთაშორისი გადანაწილების, არსებულ მუშახელსა და მასზე მოთხოვნილებას შორის შეწონასწორების გაუმჯობესების მიზნით:

ა) მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით შრომითი რესურსების ბალანსებისა და მათს საფუძველზე პერსპექტივისათვის (ხუთწლეულების მიხედვით) მუ-

შაკთა რიცხვის საანგარიშო მონაცემების შემუშავება სახალხო მეურნეობის დარგების განხრით ყოველი ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის მიხედვით;

ბ) მოკავშირე (ოლქებად დაუყოფელი) და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა უზრუნველყონ შესაბამისი ტერიტორიის მიხედვით ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი და წლიური გეგმების შემადგენლობაში სამუშაო ადგილებისა (ატესტაციისა და რაციონალიზაციის გათვალისწინებით) და შრომითი რესურსების ერთიანი ბალანსების შემუშავება;

გ) სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ, რომ საქვეუწყებო გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა შეუთანხმონ გეგმების **პროექტებით გათვალისწინებული** მუშაკთა რიცხვი ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის მინისტრთა საბჭოს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

10. გაიზარდოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების პასუხისმგებლობა საქვეუწყებო მეურნეობის პროპორციული და ეფექტიანი განვითარების უზრუნველყოფისათვის. დაწესდეს, რომ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფონდები და რესპუბლიკური მეურნეობის განვითარების კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ლიმიტები (აგროსამრეწველო კომპლექსის გარდა) ყოველ რესპუბლიკას გამოეყოფა მთლიანად დარგებისა და მიმართულებების მიხედვით გაუნაწილებლად.

რეკომენდაცია მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შემოიღონ ანალოგიური წესი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და კაპიტალურ დაბანდებათა განაწილებისას იმ მეურნეობის მიხედვით, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ექვემდებარება.

მოსახლეობის საჭიროებათა დაკმაყოფილებასთან უშუალოდ დაკავშირებული დარგების საქმიანობის მართვისა და დაგეგმვის სრულყოფა

11. გაძლიერდეს რესპუბლიკური და ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების როლი და მათი პასუხისმგებლობა სურსათ-სანოვაგით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების ორგანიზაციისათვის ადგილობრივი რესურსებისა და კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოთა, ორგანიზაციათა და უწყებათა დამხმარე სასოფლო მეურნეობების, მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების, მებაღეობის ამხანაგობებისა და მებოსტნეთა კოლექტივების შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენების საფუძველზე.

ამასთან დაკავშირებით დაევალოთ მოკავშირე (ოლქებად დაყოფილი) და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

გაითვალისწინონ 1987 წლიდან დაწყებული ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემადგენლობაში მოსახლეობის სასურსათო საქონლით უზრუნველყოფის ღონისძიებანი უწინარეს ყოვლისა ადგილობრივი წარმოების ხარჯზე საერთო-საკავშირო და რესპუბლიკურ ფონდებში მიწოდების დადგენილ ვალდებულებათა გათვალისწინებით;

ყოველნაირად შეუწყონ ხელი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დამხმარე სასოფლო მეურნეობების განვითარებას სურსათით შრომითი კოლექტივების მომარაგების გაუმჯობესებისათვის. აქტიურად შეუწყონ ხელი მებაღეობის ამხანაგობებისა და მებოსტნეთა კოლექტივების, მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების განვითარებას.

12. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების 1986-2000 წლების კომპლექსური პროგრამით დასახული ამოცანების რეალიზაციაში რესპუბლიკური და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების როლის გაძლიერების მიზნით:

ა) მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა:

უზრუნველყონ სახალხო მოხმარების მაღალხარისხოვანი საქონლის წარმოების მუდმივი ზრდა და მომსახურების სფეროს დაჩქარებული განვითარება, საქონლის გამოშვებისა და მომსახურების გაწევის მოცულობის შეწონასწორება მოსახლეობის ფულად შემოსავალთან;

აქტიურად ჩააბან საქონლის წარმოებასა და მოსახლეობის ფასიან მომსახურებაში ყველა გაერთიანება, საწარმო და ორგანიზაცია, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად;

გადასცენ 1986-1987 წლებში დადგენილი წესით ადგილობრივ დაქვემდებარებაში გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები, რომელთა პროდუქცია უშუალოდ უკავშირდება შესაბამისი ტერიტორიის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას;

ბ) მიენიჭოთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება ადგილობრივი და მეორეული რესურსების გამონახვის, ნედლეულისა და მასალების ზეგეგმითი დაზოგვის, საწარმოო სიმძლავრეთა უფრო სრულად გამოყენების საფუძველზე დაუწესონ გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, სახალხო მოხმარების იმ საქონლის დამატებითი გამოშვების დავალებანი, რომელიც მოთხოვნით სარგებლობს, და დაიტოვონ თავიანთ განკარგულებაში აღნიშნულ დავალებათა მიხედვით დამზადებული საქონლის მთელი მოცულობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა 1986 წელს შეიმუშაონ და მეთორმეტე ხუთწლედში განახორციელონ ისეთი ღონისძიებანი, რომ ადგილობრივი მრეწველობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, საბინაო-კომუნალური მეურნეობის რესპუბლიკური სამინისტროების, მოკავშირე რესპუბლიკათა სხვა სამინისტროებისა და უწყებების და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში განავითაროონ მცირე საწარმოების ქსელი, რომლებიც უშვებენ სახალხო მოხმარების საქონელს, აწარმოებენ ბინებისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის რემონტს, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კერვა-შეკეთებას, მოსახლეობის სხვაგვარ მომსახურებას ისეთი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობის გამოყენებით, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნება ნაწარმის ასორტიმენტისა და მომსახურების სახეობათა სწრაფი ცვლა მათზე არსებული მოთხოვნის შესაბამისად, აგრეთვე ამ მიზნით მოქალაქეთა სხვადასხვა ფორმის კოოპერაციული და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ღონისძიებანი;

დ) მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა იმ მიზნით, რომ უფრო სრულად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილება ცენტრალიზებულად დაუგეგმავ მასობრივი მოთხოვნის საქონელზე, გამოირიცხოს გაუმართლებელი დუბლირება მათი გამოშვების დროს და გაიზარდოს ამ საქონლის წარმოების ხარისხი და რენტაბელურობა, შექმნან საზოგადოებრივ საწყისებზე ასეთი საქონლის წარმოების განვითარებისა და განლაგების რესპუბლიკათაშორისი და ოლქთაშორისი საკოორდინაციო ცენტრები (საბჭოები).

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ და „ცენტროსიუზმა“ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად 3 თვის ვადაში დააზუსტონ რესპუბლიკებში უკვე არსებული გამოცდილების გათვალისწინებით აღნიშნული საკოორდინაციო ცენტრების (საბჭოების) სანიმუშო დებულება;

ე) მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა გააძლიერონ კონტროლი მათს ტერიტორიაზე განლაგებული გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გამოშვებული სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისადმი;

ვ) მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა დაუმტკიცონ შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებულ გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, მოსახლეობის ფასიანი მომსახურების რეალიზაციის გეგმები.

13. მიღებულ იქნეს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს და ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება, რომ 1987 წლიდან მოყოლებული ვლადიმირისა და კუიბიშევის ოლქებში და ესტონეთის სს რესპუბლიკაში ცდის სახით შემოიღონ საცხოვრებელი სახლების, კომუნალური მეურნეობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგეგმვისა და დაფინანსების ისეთი წესი, რომლის დროსაც ... ბის, მათ შორის საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახსრებით წარმოებული მშენებლობის კაპიტალურ დაბანდებათა და საჯარო სამუშაოთა ყველა ლიმიტი უწესდებათ გეგმებში შესაბამისად ვლადიმირისა და კუიბიშევის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებსა და ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ და ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭომ 2 თვის ვადაში სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით განსაზღვრონ ასეთი წესის შემოღების პირობები აღნიშნული საცხოვრებელი სახლებისა და ობიექტების მშენებლობის ახალ პირობებში მომუშავე საწარმოთა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდების სახსრების გამოყენების სპეციფიკის გათვალისწინებით.

14. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა პროფკავშირულ, კომკავშირულ, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, შრომითს კოლექტივებთან და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებთან ერთად:

გამოიყენონ ყველა არსებული შესაძლებლობა ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების მცირე საწარმოების, ოთახ-სახელოსნოების, სპორტული დარბაზების განსალაგებლად გამოუყენებელი ან განთავისუფლებული სათავსების გამოყენების ხარჯზე;

შეუქმნან პენსიონერებს და ქალებს, რომლებსაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ, მოსწავლეებს საჭირო პირობები იმისათვის, რომ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა შეძლებისდაგვარ შრომითს საქმიანობაში და დაუწესონ მათ სურვილისამებრ მუშაობის ცვალებადი გრაფიკი, არასრული სამუშაო დღე, გამოიყენონ შინშრომა;

შეიმუშაონ და მეთორმეტე ხუთწლედში განახორციელონ ორგანიზაციულ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა მიზანია ომისა და შრომის ვეტერანების, დაღუპულ მეომართა ოჯახების, ინვალიდების, ხანდაზმული მოქალაქეების სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო და კულტურული მომსახურების ძირეული გაუმჯობესება. განავითარონ მარტოხელა ხანდაზმულ და შრომისუუნარო მოქალაქეთა შინ მომსახურება.

კაპიტალური მშენებლობის ხელმძღვანელობა

15. კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობის გადიდებისა და ორგანიზაციის სრულყოფის, სახალხო მეურნეობის ამ დარგისადმი ხელმძღვანელობაში რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების უფლებების გაფართოების, სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაჩქარებული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით დაწესდეს, რომ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების წინადადებათა საფუძველზე სსრ კავშირის იმ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით, რომლებიც სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს აწარმოებენ, ამუშავებენ და ამტკიცებენ საცხოვრებელი სახლების, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, სკოლების, პოლიკლინიკების, საავადმყოფოების, თეატრების, სტადიონების, სოციალურ-კულტურული სფეროს სხვა ობიექტების ამოქმედების ერთიან გეგმებს;

ბ) იმ ასაშენებელი კინოთეატრების, სპორტული ნაგებობების, კულტურის სახლებისა და კლუბების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების, ადმინისტრაციული ნაგებობების (უშუალოდ საკავშირო პროფსაბჭოს, სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის, საკავშირო ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოსადმი დაქვემდებარებული აღნიშნული ობიექტების, აგრეთვე სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების სისტემაში შემავალი ორგანიზაციებისათვის განკუთვნილი ადმინისტრაციული ნაგებობების გარდა) სატიტულო სიებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 2 მილიონ მანეთს აღემატება, ამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით, ხოლო 2 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისას — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები;

გ) მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

შეუძლიათ შექმნან მიზანშეწონილობის შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების, კომუნალური მეურნეობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების, აგრეთვე დარგთაშორისი საწარმოო ობიექტების მშენებლობის ერთიანი შემკვეთის სამსახურები;

ისინი 1987 წლიდან მოყოლებული ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური და ხუთწლიანი გეგმების შემადგენლობაში ამუშავებენ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა სიმძლავრეებისა და მათი დატვირთვის ერთიან გაანგარიშებებს (ბალანსებს) შესაბამის ტერიტორიაზე, უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, და ამზადებენ ამ საფუძველზე წინადადებებს ამ ორგანიზაციების სიმძლავრეთა რაციონალური გამოყენებისა და ზრდის თაობაზე, ამასთან მხედველობაში აქვთ საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობის ნორმატიულ ვადებში უზრუნველყოფა.

სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს ახორციელებენ, გაითვალისწინონ აღნიშნული წინადადებები სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებისა და სამშენებლო ინდუსტრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის საწარმოების სიმძლავრეთა წლიური და ხუთწლიანი გეგმების შემუშავებისას ტერიტორიული განხრით;

დ) სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები 1987 წლიდან მოყოლებული საერთო კაპიტალური დაბანდებების 0,5 პროცენტს ახმარენ ადგილობრივ საშენ მასალათა წარმოების განვითარებას იმ სახსრების დამატებით, რომლებიც გეგმებით არის გათვალისწინებული ამ მიზნებისათვის;

ე) საშენ მასალათა მრეწველობის იმ საწარმოთა პროდუქცია, რომლებიც სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ინიციატივით აშენდა მათ მიერ დაბანდებული სახსრების ხარჯზე, მთლიანად მათ განკარგულებაში რჩება.

16. საწარმოო და არასაწარმოო სფეროების ურთიერთდაკავშირებული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით დაწესდეს, რომ:

ა) შემკვეთი სამინისტროები და უწყებები, გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები მოკავშირე (ოლქებად დაუყოფელი) და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უთანხმებენ საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებასა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანგარიშებებს ისეთ ნაწილებში, როგორიცაა მიწათსარგებლობა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და მუშახელით მათი დაკომპლექტება, ტვირთის გადატანასა და მგზავრთა გადაყვანაზე არსებული მოთხოვნილების, საცხოვრებელი სახლების, სკოლამდელი დაწესებულებების, კომუნალური მეურნეობის, სოციალურ-საყოფაცხოვრებო და ბუნებისდაცვითი დანიშნულების ობიექტების მშენებლობის მოცულობისა და ვადების განსაზღვრა, აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მეორეული ნედლეულის გადამუშავების საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობის დასაბუთებასა და გაანგარიშებებს. ამასთან ითვალისწინებენ სახალხო დეპუტატთა საოკრუგო, რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აზრს;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, აგრეთვე შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიან გეგმებში გათვალისწინებულია ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ (საოკრუგო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების აზრის გათვალისწინებით) სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებული სოციალური და საწარმოო სფეროების, ბუნებადაცვითი დანიშნულებისა და სხვა ობიექტების აგების კაპიტალური დაბანდებებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოცულობები, რომლებიც წილობრივი მონაწილეობის წესით გადაეცემათ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ან მთავარ მენაშენე ორგანიზაციებს. წლიურ გეგმებში აღნიშნული კაპი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტალური დაბანდებანი გათვალისწინებულია ხუთწლიან გეგმებში ბალანსებული ოდენობით, დამატებითი შეთანხმების გარეშე;

გ) სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა მკვეთრად გააუმჯობესონ კონტროლი სოციალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობის გეგმათა შესრულების მიმდინარეობისადმი, განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება საწარმოო და არასაწარმოო ობიექტების კომპლექსური ამოქმედებისათვის. მშენებლობათა სატიტულო სიებით გათვალისწინებული საცხოვრებელი სახლების, საბავშვო დაწესებულებების, კომუნალური მეურნეობის, სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო და ბუნებადაცვითი დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ჩამორჩენის შემთხვევაში მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ დაავალონ შემკვეთს შეიმუშაოს და კონკრეტულ ვადებში გენერალურ მოიჯარადრე სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციასთან ერთად განახორციელოს ამ მშენებლობის ჩამორჩენის ლიკვიდაციის ღონისძიებანი.

ბუნების დაცვა და ბუნებრივი და მეორეული რესურსების კომპლექსური გამოყენება

17. ბუნებადაცვითი საქმიანობის მართვაში რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების როლის გასაძლიერებლად:

ა) მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ ბუნებადაცვითი საქმიანობის ხელმძღვანელობა მოკავშირე რესპუბლიკებში გაერთიანდეს მართვის ერთიან ორგანოში. ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით მოკავშირე რესპუბლიკებში დადგენილი წესით შეიქმნას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების რეგულირების სახელმწიფო კომიტეტები, აგრეთვე ამ კომიტეტების ადგილობრივი ორგანოები. აღნიშნული კომიტეტები და მათი ორგანოები შეიქმნას სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების იმ სამინისტროებისა და უწყებების სისტემის ორგანიზაციათა მართვის აპარატის მუშაკების რიცხვისა და შენახვის ხარჯების ბაზაზე და ფარგლებში, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო კონტროლს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების რეგულირების დარგში;

ბ) საჭიროდ იქნეს მიჩნეული, რომ გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, ბუნებრივი გარემოს გაჭუჭყიანებისას სავალდებულო წესით ანაზღაურებდნენ მიყენებულ ზარალს, ხოლო მათგან ამოღებული სახსრები ირიცხებოდეს რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში ბუნებადაცვითი ღონისძიებების განსახორციელებლად.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტეტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ, სსრ კავშირის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით 1986 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგინონ წინადადებები გარემოს გაჭუჭყიანებით გამოწვეული ზარალის განსაზღვრისა და მისი გამომწვევი გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ამ ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ;

ბ) დაწესდეს, რომ 1987 წლიდან მოყოლებული სამრეწველო საწარმოების მიერ წყალსამეურნეო სისტემებიდან აღებული წყლის საზღაურს გადამხდელი საწარმოები შეიტანენ საკავშირო, რესპუბლიკურ ან ადგილობრივ ბიუჯეტში საწარმოს დაქვემდებარების მიხედვით;

დ) მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა გააძლიერონ წიაღიდან მინერალური ნედლეულის უფრო სრულად ამოღების რაციონალური და კომპლექსური გადამუშავების, მისი კომპონენტებისა და გადახსნილი ქანების უკეთ გამოყენების უზრუნველსაყოფად გამიზნული მუშაობა და მიაღწიონ გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საჭირო თანამოქმედებას, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, ამ საკითხების გადაწყვეტაში.

18. სამეურნეო ბრუნვაში მეორეული მატერიალური რესურსების, უფრო სრულად ჩართვის, მეორეული ნედლეულის შეგროვებისა და ეფექტიანი გამოყენებისათვის რესპუბლიკური და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა:

ა) სსრ კავშირის სახმომარაგებისა და სხვა სამინისტროებისა და უწყებების შესაბამის ორგანოებთან ერთად:

მოაგვარონ მეორეული ნედლეულის აღრიცხვა, დაუდგინონ მისი შეგროვებისა და სახალხო მოხმარების საქონლისა და სხვა პროდუქციის საწარმოებლად გამოყენების დავალებანი. შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებულ გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად;

შეიმუშაონ და განახორციელონ მეორეული ნედლეულის მოძრავი და სტაციონარული მიმღები პუნქტების, აგრეთვე სასურსათო და სამრეწველო საქონლის დასაბრუნებელი ტარის მიმღები პუნქტების ქსელის გაფართოების ღონისძიებანი, დააწესონ მათი მუშაობის მოსახლეობისათვის მაქსიმალურად მოსახერხებელი რეჟიმი;

შექმნან ეკონომიკური მიზანშეწონილობის შემთხვევაში მეორეული ნედლეულის კომპლექსური გადამუშავებისა და მისგან სახალხო მოხმარების საქონლისა და საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის დამზადების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეოანგარიშიანი გაერთიანებანი, შექმნან წილობრივ საწყისებზე მეორეული ნედლეულის დამზადება-დამუშავების ორგანიზაციები;

ბ) მოაწყონ მოსახლეობისათვის ნახმარი ავეჯის, სამეურნეო ინვენტარისა და დაბრუნებას დაუქვემდებარებელი ტარის, აგრეთვე შენობებისა და ნაგებობების დანგრევის, რეკონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტის დროს წარმოქმნილი საშენი და სხვა მასალის მოსახლეობისათვის მიყიდვა.

გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობის გადიდებით სახალხო დეპუტატთა საბჭოების დაინტერესების გაძლიერება

19. განხორციელდეს მეთორმეტე ხუთწლედში შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა გაერთიანების, საწარმოსა და ორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესებით სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დაინტერესების ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის დამატებითი ღონისძიებანი. ამ მიზნით სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად უზრუნველყონ, რომ ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლის ნაწილის ჩამოყალიბება უფრო მეტად იყოს დამოკიდებული საკავშირო თუ რესპუბლიკური დაქვემდებარების გაერთიანებების, **საწარმოებისა და ორ**განიზაციების მუშაობის შედეგებზე, და კერძოდ:

შემოიღონ 1988-1989 წლებში საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობის გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ მოგების ნაწილის ადგილობრივ ბიუჯეტებში გადაცემის წესი, აგრეთვე გააფართოონ ამ ბიუჯეტებში რესპუბლიკური დაქვემდებარების გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგების გადასახდელთა ნაწილის გადაცემის პრაქტიკა;

შემოიღონ 1988 წლის დამდეგიდან ბრუნვის გადასახადის გადარიცხვა ადგილობრივ ბიუჯეტებში ფიქსირებული ოდენობით (პროცენტობით) სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობასთან შედარებით.

20. დადგინდეს, რომ 1987 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული მატერიალური რესურსების არარაციონალური მოხმარებისათვის დაწესებული ეკონომიკური სანქციების გამოყენებისაგან მიღებული თანხები ირიცხება შესაბამისი ბიუჯეტის შემოსავალში გაერთიანების, საწარმოსა და ორგანიზაციების დაქვემდებარების მიხედვით.

21. ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა გააერთიანონ შრომითი კოლექტივების თანხმობით შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების (მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდების სახსრები, აგრეთვე ადგილობრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი საბჭოების სახსრები წილობრივ საწყისებზე საცხოვრებელი სამედიცინო და სკოლამდელი დაწესებულებების, დასასვენებელი ბანების, პიონერული ბანაკებისა და არასაწარმოო დანიშნულების სხვა ობიექტების ასაშენებლად. პრაქტიკაში დანერგონ საბიუჯეტო რესურსებისა და აღნიშნული სახსრების ერთობლივი გამოყენება სოციალური სფეროს განვითარებისათვის. განახორციელონ კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის, აგრეთვე მომავალ ახალმოსახლეთა შრომითი მონაწილეობით ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსების აგების გაფართოების ღონისძიებანი.

22. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული, რომ რეგიონებში საწარმოო და არასაწარმოო სფეროების პროპორციული განვითარების უზრუნველყოფისა და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების ეკონომიკური მეთოდების დასახვეწად 1987-1988 წლებში რუსეთის ფედერაციის ცალკეულ ქალაქებში, აგრეთვე ლატვიის სს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მოეწყოს ექსპერიმენტი, რომელიც ითვალისწინებს გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ (მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) ადგილობრივ ბიუჯეტში მუშაკთა რიცხვისა და სამუშაო ადგილების რაოდენობის გადიდების შესაბამისად განსაზღვრული ნორმატივების მიხედვით სახსრების გადარიცხვას საქალაქო (რაიონული) მეურნეობის იმ დარგების განსავითარებლად, რომლებიც უკავშირდებიან მოსახლეობის მომსახურებას, აგრეთვე არასაწარმოო სფეროს მუშაკებისათვის საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობაში დემოკრატიული საწყისების შემდგომი განვითარება და საბჭოთა ორგანოების აპარატის განმტკიცება

23. სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა იხელმძღვანელონ პარტიის XXVII ყრილობის მითითებებით და აქტიურად და თანამიმდევრულად განახორციელონ თავიანთ საქმიანობაში დემოკრატიული საწყისების შემდგომი განვითარების კურსი, განუხრელად გააღრმაონ ხალხის სოციალისტური თვითმმართველობა, უფრო ფართოდ გამოიყენონ თავიანთი უფლებამოსილებანი, რათა აამოქმედონ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის ყველა რეზერვი, ჩააბან ამ საქმეში მშრომელთა ფართო მასები. ამ მიზნით:

ა) გაშალონ ფართო მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა ეკონომიკისა და სოციალური სფეროს გაფართოების ტემპის დასაჩქარებლად, გაზარდონ გერგილიანობა და ინიციატივა ტერიტორიების კომპლექსური განვითარების საკითხების გადაწყვეტაში, მნიშვნელოვნად გააძლიერონ ყველა დონის საბჭოების საკონტროლო ფუნქციები, უფრო სრულად მოახდინონ არსებული შესაძლებლობების რეალიზაცია დასახული ამოცანების გადასაწყვეტად;

ბ) გაადიდონ საბჭოების სესიათა ეფექტიანობა, სისტემატურად განიხილონ სესიების დროს რეგიონების განვითარების საკითხები, უფრო ფაქტიურად განიხილონ და უფრო კრიტიკულად შეაფასონ მართვის ორგანოების ანგარიშები, მეურნეობის ცალკეულ დარგებში არსებული მდგომარეობა, მოისმინონ ზემდგომი დაქვემდებარების გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელების, აგრეთვე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა ინფორმაციები ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე, რეგულარულად მოახსენონ დეპუტატებს გეგმების, მათი შენიშვნებისა და წინადადებების, ამომრჩეველთა განაწესების შესრულების შესახებ;

ბ) გააძლიერონ მუდმივი კომისიების საანალიზო და საკონტროლო საქმიანობა, წინასწარი განხილვისათვის გადასცენ მათ სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ძირითადი საკითხები, უფრო ფართოდ ჩაებან ისინი იმ გადაწყვეტილებებისა და საკითხების პროექტების მომზადებაში, რომლებიც აღმასრულებელი კომიტეტების სესიებსა და სხდომებზე განიხილება;

დ) გაადიდონ სახალხო დეპუტატთა მაორგანიზებელი როლი კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტაში, გააქტიურონ საწარმოებსა და ორგანიზაციებში დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობა, მეტადრე მოქალაქეთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საკითხებში, უფრო ფართოდ დანერგონ დეპუტატთა შეკითხვების პრაქტიკა, შეუქმნან სახალხო დეპუტატებს მათ უფლებამოსილებათა რეალიზაციის საჭირო პირობები;

ე) განამტკიცონ კავშირი ხალხის მასებთან, უფრო ფართოდ ჩააბან შრომითი კოლექტივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები, მოსახლეობა ისეთი საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში, როგორიც არის ბინების, საბავშვო დაწესებულებების მშენებლობა, კეთილმოწყობა, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოების, ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების დაწესებულებების მუშაობა, შრომისა და საწარმოო დისციპლინის, მართლწესრიგის განმტკიცება, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან უფრო მჭიდრო კავშირით იმოქმედონ წარმოების ეფექტიანობის გადიდების, ხალხის შრომის, ყოფისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის;

ვ) გაზარდონ საჯაროობა მუშაობაში, სისტემატურად და უფრო სრულად გააცნონ მოსახლეობას თავიანთი საქმიანობა, მიღებული გადაწყვეტილებები, მათი შესრულების, ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციის მიმდინარეობა. უფრო აქტიურად გამოიყენონ დეპუტატებისა და თანამდებობის პირთა გამოსვლები ამომრჩეველთა წინაშე, შრომითს კოლექტივებში და მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აგრეთვე პრესა, ტელევიზია, რადიო.

24. გაფართოვდეს ხელისუფლებისა და მართვის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების უფლებები საბჭოთა ორგანოების აპარატის სტრუქ-

ტურის სრულყოფისა და კვალიფიციური კადრებით მისი განმტკიცების მიზნით.

გში. საამისოდ:

ა) მიენიჭოთ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება, რომ ხელფასის დადგენილი ფონდის გათვალისწინებით დაამტკიცონ შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, მათი სამმართველოებისა და განყოფილებების აპარატის სტრუქტურა და შტატები, იხელმძღვანელონ თანამდებობრივი სარგოების სქემით (სქემით დადგენილი ცალკეულ კატეგორიათა მუშაკების რიცხვისა და საშუალო თანამდებობრივი სარგოების შეფარდების გაუთვალისწინებლად).

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ დაუწესონ 1987-1990 წლებისათვის მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მართვის რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკები) და ადგილობრივი ორგანოების აპარატის ხელფასის ფონდი მთლიანად ყოველ მოკავშირე რესპუბლიკაში.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა დაამტკიცონ 1986 წელს ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების სახელმწიფო მართვის ორგანოების ხელფასის ფონდი;

ამასთან დაკავშირებით 1987 წლის 1 იანვრიდან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მათი სამინისტროებისა და უწყებების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისა და მათი სამმართველოებისა და განყოფილებებისათვის გაუქმდეს მართვის აპარატის რიცხვის ლიმიტების დამტკიცება, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 1 ოქტომბრის № 960 დადგენილებით, აგრეთვე ამ აპარატის მუშაკთა შესანახად მაქსიმალურ ასიგნებათა ლიმიტების დამტკიცება.

ბ) მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ამ დადგენილებიდან გამომდინარე ახალი ამოცანების გათვალისწინებით განახორციელონ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, მათი სამმართველოებისა და განყოფილებების აპარატის განმტკიცების, და, იქ, სადაც ეს მიზანშეწონილია, კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესაბამის სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა შექმნის ღონისძიებები.

საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს სამინისტროებისა და უწყებების თანხმობით შეუძლიათ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების შესაბამის აღმასრულებელ კომიტეტებს გადასცენ მათი თხოვნით ამ ქვეგანაყოფების შესაქმნელად მართვის აპარატის მუშაკთა საჭირო რიცხვი და ხელფასის ფონდი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ნება დართონ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, რომ საბჭოთა ორგანოების მაღალკვალიფიციურ მუშაკებს დაუწესონ დანამატები თანამდებობრივი სარგოს 50 პროცენტამდე ოდენობით ხელფასის ფონდის მომჭირნეობის ხარჯზე, რომელიც მუშაკთა რიცხვის შემცირების შედეგად წარმოიქმნება. ეს დანამატები შეიძლება გაუქმდეს ან შემცირდეს მუშაობის ხარისხის გაუარესებისას;

დ) განამტკიცონ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების იურიდიული სამსახური, მიზანშეწონილად ცნონ, რომ რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შტატებში იყვნენ იურისკონსულტები.

ე) სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საკავშირო პროფსაბჭომ მოამზადონ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით და 2 თვის ვადაში წარმოადგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინადადებანი შესაბამის ტერიტორიაზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესრულებისათვის რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკების) და ადგილობრივი საბჭოთა და საგეგმო ორგანოების მუშაკთა პრემირების შემოღების შესახებ.

25. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა განახორციელონ მეთორმეტე ხუთწლედში სახალხო დეპუტატთა სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სათავსით, მოწყობილობით, ინვენტარით და სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფის ღონისძიებანი, დაადგინონ ამ მიზნით ნაგებობათა მშენებლობის დავალებანი, წლების მიხედვით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახმომარაგებამ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტებში გაითვალისწინონ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისათვის შესაბამისი ფონდების გამოყოფა.

26. სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ ამ დადგენილებასთან დაკავშირებით შეიტანოს საჭირო ცვლილებანი საანგარიშგებო სტატისტიკური მონაცემების შემუშავებისა და წარმოდგენის წესში.

27. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ და სსრ კავშირის სახმშენმა შეიმუშაონ სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად და 6 თვის ვადაში წარმოადგინონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინადადებანი მოქმედ კანონმდებლობაში ამ დადგენილების შესაბამისად ცვლილებების შეტანის შესახებ.

*

* *

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოები გამოიჩენენ მაქსიმალურ მუყაითობასა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინიციატივას, რათა ძირეულად გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა, გაჩარდონ წვლილი საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მ. გორბაჩოვი**	სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ა. გრომიკო**	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. რიჟკოვი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

64 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 19 იანვრის № 58 დადგენილების მე-3 პუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-3 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 19 იანვრის № 58 დადგენილებისა „მოსწავლე ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ჯ. პატიაშვილი	**ო. ჩერქეზია**

ქ. თბილისი, 1986 წ. 16 სექტემბერი, № 624

65 პროდუქციისა და საქონლის მიწოდების ხელშეკრულებათა შესრულებისათვის გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს მიწოდების, ხელშეკრულებებისა და შეკვეთების ვალდებულებათა გათვალისწინებით პროდუქციის რეალიზაციის გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად.

მაგრამ, მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების ხელშეკრულებათა დადების არსებულ პრაქტიკასა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების ორგანიზაციაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი; მატერიალური რესურსების წარმოებისა და განაწილების დაგეგმვის დაწესებული ვადები ვერ უზრუნველყოფენ გაერთიანებათა და საწარმოთა სტაბილურ მუშაობას, უმაღლესი ხარისხის პროდუქციის დამზადებისათვის შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობის ამაღლებას და დაგეგმილი ასორტიმენტისა და ვადების ზუსტ დაცვას. რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები არ იღებენ ქმედითს ზომებს საწარმოების მიერ მიწოდების ვალდებულებათა შესრულებისადმი კონტროლის გასაძლიერებლად, პრინციპულ შეფასებას არ აძლევენ მათ ხელმძღვანელთა საქმიანობას.

„პროდუქციისა და საქონლის მიწოდების ხელშეკრულებათა შესრულებისათვის გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა პასუხისმგებ-

ლობის ამაღლების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 5 ივნისის № 672 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. რესპუბლიკის სამეურნეო, პარტიული და საბჭოთა ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს წარმოებისა და შრომის ზუსტი ორგანიზაციის, საგეგმო და შრომის დისციპლინის განმტკიცების, მეურნეობის გაძღოლის ახალი ეკონომიკური მეთოდების ფართოდ დანერგვის, მაღალი ხარისხის, დაწესებული ასორტიმენტის და ვადებში ნაკეთობათა დამზადებისათვის შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობის ამაღლების უზრუნველყოფა პროდუქციისა და საქონლის მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა უცილობლივ შესრულების მიზნით.

2. იმასთან დაკავშირებით, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 5 ივნისის № 672 დადგენილების (თან ერთვის) შესაბამისად 1987 წლის 1 იანვრიდან გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობის შედეგების შეფასების ძირითად კრიტერიუმად შემოღებულია საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა 100-პროცენტიანი შესრულება დადებული ხელშეკრულებებისა და შეკვეთების მიხედვით, საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების დარგების გაერთიანებებმა და საწარმოებმა შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებათა კომპლექსი იმისათვის, რომ:

— მოამზადონ ყველა საწარმო, გაერთიანება და ორგანიზაცია 1987 წლიდან სამეურნეო საქმიანობის შეფასების ახალ პირობებში სამუშაოდ;

— უზრუნველყონ შრომითს კოლექტივებში წარმოების მუშაობის დაგეგმვის ხარისხის ძირეული გაუმჯობესება, დამტკიცებული ნომენკლატურისა და ასორტიმენტის ზუსტი შესაბამისობით პროდუქციისა და საქონლის გამოშვების გეგმების შესრულება და შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობის ამაღლება პროდუქციის რიტმული წარმოებისა და დადებულ ხელშეკრულებათა და შეკვეთების თანახმად მისი მიწოდებისათვის;

— გააძლიერონ ეკონომიკური ნორმატივებისა და სამეურნეო მექანიზმის სხვა ელემენტების ზემოქმედება სახელშეკრულებო ვალდებულებათა უცილობლივ 100-პროცენტიანი შესრულებისათვის საწარმოთა შრომითი კოლექტივების დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის ამაღლებაზე. უფრო ფართოდ გამოიყენონ ამ მიზნით მატერიალური წახალისების ფონდები, რომლებიც 1987 წლიდან მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა 100-პროცენტიანი შესრულებისას გადიდდება 15 პროცენტით და შემცირ-

დება 3 პროცენტით ზემოაღნიშნულ დავალებათა და ვალდებულებათა შესრულებლობის ყოველ პროცენტში, აგრეთვე შემცირდება უკმარობა მიწოდებისათვის გადახდილი სანქციების თანხით, მაგრამ არა უმეტეს ამ ფონდის დაგეგმილი ოდენობის 20 პროცენტისა;

— თავიდან აიცილონ ფაქტები, როცა მიმწოდებლები თავს არიდებენ პროდუქციისა და საქონლის მიწოდების ხელშეკრულებათა დადებას დადგენილი წესით გაცემული საგეგმო აქტებით გათვალისწინებული არასრული მოცულობით (რაოდენობით), ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ 1987 წლიდან პროდუქცია და საქონელი, რომელთა მიწოდების თაობაზე დადებული არაა ხელშეკრულებანი, მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა შესრულების ანგარიშებში აისახება როგორც მიუწოდებელი;

— გააძლიერონ კონტროლი იმისადმი, რომ რესპუბლიკის მიმწოდებელმა საწარმოებმა გადაურიცხონ მომხმარებლებს ჯარიმების თანხები საუპიროსათვის დაწესებულ ვადებში, პროდუქციისა და საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების ან მიუწოდებლობისათვის არამწარმოებლური ხარჯების შემცირების უზრუნველყოფისა და მათ მიერ საუპიროს ერთნახევარი ოდენობით გადახდის ფაქტების აღკვეთის მიზნით, რომელიც გადახდებათ, როცა მიმწოდებლები უარს ამბობენ კუთვნილი ჯარიმის თანხის დროულად გადარიცხვაზე.

3. დასახული ამოცანის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით შემოღებულ იქნეს წარმოებისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დაგეგმვის შემდეგი წესი;

— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ შეტყობინებულ საგეგმო მაჩვენებელთა საფუძველზე დაუგზავნოს რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, ფოთისა და რუსთავის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს მიღების შემდეგ 30 დღის განმავლობაში ნატურალური გამოხატულებით პროდუქციის წარმოების დავალებანი და ფართო ნომენკლატურის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფონდები და აცნობოს ამის შესახებ იმავე ვადებში საქართველოს სსრ სახმომარაგებას და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების შესაბამის ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ მომხმარებელთა მიმაგრებას მიმწოდებლებთან;

— საქართველოს სსრ სახმომარაგებამ, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, რომლებიც ანაწილებენ პროდუქციას მათთვის მიმაგრებული ნომენკლატურის მიხედვით, დაუგზავნონ მათ მიერ გასანაწილებელი მატერიალური რესურსების ფონდები ფონდმფლობელებს შესაბამის დავალებათა და ფონდების მიღების შემდეგ 30 დღის განმავლობაში და აცნობონ ამის შესახებ იმავე ვადებში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ მომხმარებელთა მიმაგრებას მიმწოდებლებთან;

— საქართველოს სსრ სახმომარაგებამ რესპუბლიკის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით 1986—1988 წლების განმა-

ვლობაში უზრუნველყოს გადასვლა სავაგონო ან საკონტეინერო ნორმებზე ნაკლები რაოდენობის პროდუქციით მომხმარებელთა მომარაგებაზე, კომიტეტის სისტემის საწარმოთა მეშვეობით;

— რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა შეატყობინონ ვაჭრობის ორგანოებსა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს ყოველწლიურად 1 აპრილამდე წინადადებანი საბითუმო ბაზრობებზე წლიური გეგმის ნომენკლატურით საქონლის გასაყიდად, გამომდინარე სავაჭრო ორგანიზაციათა განაცხადებიდან, რომლებსაც წარუდგენენ მათ დასაგეგმი წლის წინა წლის 1 თებერვლამდე და საცალო ფასებში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების საერთო მოცულობიდან, რაც გათვალისწინებულია ხუთწლიან გეგმაში შესაბამისი წლისათვის;

— მიეცეთ 1987 წლის 1 იანვრიდან პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის გეგმის შესრულებისათვის პრემიები გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელ მუშაკებს მხოლოდ დადებული ხელშეკრულებებისა და საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციათა შეკვეთა-განრიგების შესაბამისად პროდუქციისა და საქონლის მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა 100-პროცენტიანი შესრულებისას, ამასთან გათვალისწინებულ იქნეს ზემოაღნიშნულ მუშაკთათვის პრემიების მიცემისას მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა შესრულება აგრეთვე სამეურნეო საქმიანობის სხვა შედეგების მიხედვით;

— საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა შეიტანონ სამეურნეო საქმიანობის საკითხებზე დამტკიცებულ დებულებებში ცვლილებანი მიწოდების გეგმის შესრულებისათვის ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მთლიანად შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობის ამაღლებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახმომარაგებამ, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორებმა გაუწიონ საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მეთოდიკური დახმარება გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

4. საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა, რესპუბლიკის გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორათა ხელმძღვანელებმა გააძლიერონ კონტროლი სახალხო მეურნეობაში ანგარიშსწორების მდგომარეობისადმი, მიიღონ ქმედითი ზომები იმ საწარმოების მიმართ, რომლებიც სისტემატურად არღვევენ საგადასახდელო დისციპლინას, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ 1987 წლიდან:

— 2-ჯერ იზრდება მიწოდებული პროდუქციის არადროული ანაზღაურებისათვის საურავის ოდენობა, ხოლო საურავის თანხა მიეკუთვნება მყიდველ საწარმოთა მატერიალური წახალისების ფონდს;

— შემოიღება ენერგომომმარაგებელი, წყალმომმარაგებელი და გაზმომმარაგებელი ორგანიზაციების მიერ მომხმარებლების ელექტროენერგიითა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბოენერგიით, წყლითა და გაზით მომარაგების დავალებათა და ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის სანქციების გადახდევინების უაქცეპტო წესი;

2 თვემდე დიდდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადა უაქცეპტო წესით მიმწოდებლისათვის ჯარიმის და ზედმეტად გადახდილი თანხების გადახდევინებისა უხარისხო ან უკომპლექტო პროდუქციის (საქონლის) მიწოდების შემთხვევაში. მყიდველს უფლება ეძლევა გამოიყენოს აღნიშნული წესით და იმავე ვადაში სხვა სანქციები ხარისხისა და კომპლექტურობის ვალდებულებათა არასათანადო შესრულებისათვის;

— ანგარიშიდან სახსრების დაუსაბუთებელი უაქცეპტო ჩამოწერისათვის დამნაშავე მხარე, ჩამოწერილი თანხის დაბრუნების გარდა, გადაუხდის მეორე მხარეს ამ თანხის 10 პროცენტს.

5. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ:

— უზრუნველყოს პროდუქციის გაბაწილება, მყიდველთა მიმაგრება მიმწოდებლებთან ზუსტად დაწესებულ ვადებში და მიწოდების ხელშეკრულებათა დადება სამეურნეო წლის დაწყებამდე; გააძლიეროს კონტროლი გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულებათა სრული მოცულობით დადებისადმი, რაც გათვალისწინებულია გაცემული საგეგმო აქტებით; ოპერატიულად გადაწყვიტოს გეგმით დაწესებულთან შედარებით ნაკლებ მოცულობაზე ხელშეკრულებათა დადების ფაქტების გამოვლენისას მიმწოდებელ საწარმოთა წარმოების დამატებითი დატვირთვის საკითხები;

— განახორციელოს შეუნელებელი კონტროლი მიმწოდებელი გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ პროდუქციის მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა შესრულებისადმი რაოდენობის, მიწოდების ვადების მიხედვით და მომხმარებლებთან შეთანხმებული ასორტიმენტის (ნომენკლატურის) თანახმად;

— უზრუნველყოს სხვა ეკონომიკურ რაიონებში და უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო საჭიროებისათვის მიწოდებათა პირველ რიგში შესრულება, ამ საქმეში უწყებრიობისა და კუთხურობის გამოვლინებათა აღმოფხვრა, სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანოებისათვის მინიჭებულ იმ უფლებათა სრულად გამოყენება, რომლებიც ითვალისწინებენ მიწოდების დისციპლინის განმტკიცებას და მის დამრღვევ მიმწოდებელთა და კონკრეტულ თანამდებობის პირთათვის კანონით დაწესებული პასუხისმგებლობის დაკისრებას.

6. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველომ გაუწიონ მიმწოდებელ სამრეწველო საწარმოებს საჭირო ოპერატიული დახმარება დადებულ ხელშეკრულებათა თანახმად მომხმარებელთათვის მზა პროდუქციისა და საქონლის შეუფერხებელი მიწოდების უზრუნველყოფის საქმეში.

7. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურმა სამმართველომ ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ და წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეიქმნას პროდუქციის მიწოდების მართვისა და კონტროლის საუწყებათაშორისო ოპერატიული ჯგუფი და დაეკისროს მას საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების დარგების გაერთიანებათა და საწარმოთა მუშაობის კოორდინაცია დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა 100-პროცენტიანი შესრულების უზრუნველსაყოფად დროული პროგნოზირებისა და შესაბამისი რეაგიოების საქმეში, აგრეთვე საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების მართვისა და კონტროლის საუწყებათაშორისო ოპერატიული ჯგუფის დებულების პროექტი.

8. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ მოამზადოს რესპუბლიკის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ამ დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჯ. პატიაშვილი**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

ქ. თბილისი, 1986 წ. 30 სექტემბერი, №655

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 672

1986 წლის 5 ივნისი

მოსკოვი, კრემლი

პროდუქციისა და საქონლის მიწოდების ხელშეკრულებათა შესრულებისათვის გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ დროს რამდენადმე გაუმჯობესდა ხელშეკრულებათა და ვალდებულებათა მიხედვით პროდუქციის მიწოდების დაცვის მდგომარეობა. ამას ხელი შეუწყო წარმოებისა და შრომის უფრო ზუსტმა ორგანიზაციამ, საგეგმო და შრომის დისციპლინის განმტკიცებამ, სხვადასხვა დარგში მეურნეობის გაძღოლის ახალი ეკონომიკური მეთოდების ფართოდ დანერგვამ, მაღალი ხარისხისა და დაწესებულ ვადებში პროდუქციის დამზადებისათვის შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობის ამაღლებამ.

ამასთანავე სახალხო მეურნეობაში დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად პროდუქციისა და საქონლის მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა შესრულებისათვის მუშაობის მდგომარეობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნებს. მრეწველობის გაერთიანებათა და საწარმოთა 20 პროცენტზე მეტი ამჟამად ვერ ასრულებს მომხმარებელთა წინაშე ნაკისრ სახელშეკრულებო ვალდებულებებს. 1985 წელს და 1986 წლის პირველ კვარტალში დადებული ხელშეკრულებებისა და საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციათა შეკვეთა-განრიგების მიხედვით გათვალისწინებულს დააკლდა 15 მილიარდ მანეთზე მეტი პროდუქცია. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს ბევრი საწარმოსა და დარგის მუშაობაზე.

მიწოდების ხელშეკრულებათა დადებისა და მათი შესრულების ორგანიზაციის დამკვიდრებულ პრაქტიკას სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს. მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერიალური რესურსების წარმოებისა და განაწილების, დაგეგმვის-დაწესებული ვადები ვერ უზრუნველყოფენ საწარმოთა მყარ მუშაობას. დარგებში მოქმედი სამეურნეო მექანიზმი ასევე სრულად არ შეესაბამება მომხმარებელთა შეკვეთების დროულად შესრულების მოთხოვნებს.

სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების, ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტებისა და მინისტრთა საბჭოების მხრივ არ ხორციელდება ჯეროვანი ღონისძიებები საწარმოების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისადმი კონტროლის ხაზით, პრინციპული შეფასება არ ეძლევა მათ ხელმძღვანელთა მუშაობას.

დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოო, მომარაგება-გასაღებისა და სავაჭრო გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა პასუხისმგებლობის შემდგომი ამაღლების მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. სამეურნეო, პარტიული და საბჭოთა ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს ყველა შრომითი კოლექტივის მიერ პროდუქციის მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა ზუსტი შესრულების უზრუნველყოფა.

შემოღებულ იქნეს 1987 წლის 1 იანვრიდან გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობის შედეგების შეფასების ძირითად კრიტერიუმად დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო მომხმარების საქონლის მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა 100-პროცენტიანი შესრულება.

სსრ კავშირის სამინისტროებმა, უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გააძლიერონ ეკონომიკური ნორმატივებისა და სამეურნეო მექანიზმის სხვა ელემენტების ზემოქმედება სახელშეკრულებო ვალდებულებათა უცილობლივ შესრულებისათვის საწარმოთა შრომითი კოლექტივების დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის ამაღლებაზე.

2. დასახული ამოცანის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით შემოღებულ იქნეს წარმოებისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დაგეგმვის შემდეგი წესი:

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა დაუგზავნოს სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დასაგეგმი წლის წინა წლის 10 აგვისტომდე ნატურალური გამოხატულებით პროდუქციის წარმოების დავალებანი და 1 სექტემბრამდე — ფართო ნომენკლატურის მატერიალური რესურსების ფონდები;

სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, რომლებიც ანაწილებენ პროდუქციას მათთვის მიმაგრებული ნომენკლატურის მიხედვით, დაუგზავნონ მათ მიერ გასანაწილებელი მატერიალური რესურსების ფონდები ფონდმფლობელებს არა უგვიანეს დასაგეგმი წლის წინა წლის 1 სექტემბრისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის საერთო-საკავშირო სამინისტროებმა და უწყებებმა, დაუგზავნონ საქვეუწყებო გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს პროდუქციის წარმოების დავალებანი და მატერიალური რესურსების ფონდები შესაბამის დავალებათა და ფონდების მიღების შემდეგ 20 დღის განმავლობაში, ხოლო სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკურმა სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა — 30 დღის განმავლობაში და აცნობონ ამის შესახებ იმავე ვადებში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ მომხმარებელთა მიმაგრებას მიმწოდებლებთან;

გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, დაწესებული დავალებებიდან გამომდინარე, უზრუნველყონ მიმწოდებლებთან და მომხმარებლებთან ხელშეკრულებათა დადება დასაგეგმი წლის დაწყებამდე, დროულად მოამზადონ წარმოება მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. განამტკიცონ შინასაქარხნო სამეურნეო ანგარიში, აამაღლონ საამქროთა, უბანთა, განყოფილებათა და სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფთა შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობა პროდუქციის რიტმული გამოშვებისა და დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად მისი მიწოდებისათვის. უფრო ფართოდ გამოიყენონ იმ მუშაკებისა და კოლექტივების მორალური და მატერიალური წახალისების სხვადასხვა ფორმა, რომლებიც მაღალ შედეგებს მიაღწევენ ამ საქმეში.

სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონელს აწარმოებენ, სსრ კავშირის სახაგრომრეწვი, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ატყობინებენ ვაჭრობის ორგანოებსა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს 1 აპრილამდე ვადაში წინადადებებს საბითუმო ბაზრობებზე წლიური გეგმის ნომენკლატურით საქონლის გასაყიდად, გამომდინარე ვაჭრობის განაცხადებიდან, რომლებსაც წარუდგენენ მათ დასაგეგმი წლის წინა წლის 1 თებერვლამდე, და საცალო ფასებში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების საერთო მოცულობიდან, რაც გათვალისწინებულია ხუთწლიან გეგმაში შესაბამისი წლისათვის.

3. სსრ კავშირის სახმომარაგებამ დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობით განახორციელოს ღონისძიებანი პროდუქციის მიწოდების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად. 1986—1988 წლების განმავლობაში უზრუნველყოს გადასვლა სავაგონო ან საკონტეინერო ნორმებზე ნაკლები რაოდენობის პროდუქციით მომხმარებელთა მომარაგებაზე სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემის საწარმოთა მეშვეობით მომხმარებელთა ადგილსამყოფელის მიხედვით.

4. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მიწოდების ხელშეკრულებათა დადების დადგენილი წესების დარღვევის არსებულ ფაქტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესდეს, რომ როცა მიმწოდებლები თავს არიდებენ დადგენილი წესით გაცემული საგეგმო აქტებით გათვალისწინებული რაოდენობის პროდუქციისა და საქონლის მიწოდების ხელშეკრულებათა დადებას, პროდუქცია და საქონელი, რომელთა მიწოდების თაობაზე დადებული არაა ხელშეკრულებანი, მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა შესრულების ანგარიშებში აისახება როგორც მიუწოდებელი.

5. სახელმწიფო საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცების და სოციალისტური მეურნეობის გაძღოლის პრინციპების შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით ამაღლდეს გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა პასუხისმგებლობა დავალებათა და ვალდებულებათა შესრულებისათვის, რისთვისაც:

დაევალოთ მიმწოდებლებს გადაურიცხონ მყიდველებს არა უგვიანეს დაწესებული ვადისა საუპირო პროდუქციისა და საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების ან მიუწოდებლობისათვის. თუ მიმწოდებლები უარს ამბობენ კუთვნილი საუპიროს დროულად გადახდაზე, იგი მათ გადახდებათ ერთნახევარი ოდენობით;

დაწესდეს ენერგომომმარაგებელი, წყალმომმარაგებელი და გაზმომმარაგებელი ორგანიზაციების მიერ მომხმარებლების ელექტრონერგიითა და თბოენერგიით, წყლითა და გაზით მომარაგების დავალებათა და ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის სანქციების გადახდევინების უაქცეპტო წესი. ასეთი გადახდევინება ხორციელდება მოთხოვნის უფლების წარმოქმნის დღიდან 6 თვის ვადაში.

2 თვემდე გადიდდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადა უაქცეპტო წესით მიმწოდებლისათვის ჯარიმის და ზედმეტად გადახდილი თანხების გადახდევინებისა უხარისხო ან უკომპლექტო პროდუქციის (საქონლის) მიწოდების შემთხვევაში. უფლება მიეცეს მყიდველს გამოიყენოს აღნიშნული წესით და იმავე ვადაში სხვა სანქციები ხარისხისა და კომპლექტურობის ვალდებულებათა არასათანადო შესრულებისათვის.

ანგარიშიდან სახსრების დაუსაბუთებელი უაქცეპტო ჩამოწერისათვის დამნაშავე მხარე, ჩამოწერილი თანხის დაბრუნების გარდა, გადაუხდის მეორე მხარეს ამ თანხის 10 პროცენტს.

6. გავრცელდეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის გაერთიანებებზე, საწარმოებსა და ორგანიზაციებზე საგეგმო დავალებათა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების ეკონომიკური სტიმულირების ახალი მექანიზმი, რომელმაც პრაქტიკულად გაამართლა თავისი დანიშნულება, ამასთან დაწესდეს, რომ:

მატერიალური წახალისების ფონდში ანარიცხების აბსოლუტური ოდენობა დიდდება (მცირდება) დადებული ხელშეკრულებებისა და საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციათა შეკვეთა-განრიგების შესაბამისად პროდუქციისა და საქონლის მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა შესრულების მიხედვით. ამასთან მატერიალური წახალისების ფონდი დიდდება 15 პროცენტით მიწოდების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავალებათა და ვალდებულებათა მთლიანად შესრულებისას დამატებული 3 პროცენტით აღნიშნულ დავალებათა და ვალდებულებათა შეუსრულებლობის ყოველ პროცენტში;

მატერიალური წახალისების ფონდი მცირდება იმ სანქციების თანხით, რაც გადახდათ გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს მიწოდების ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის, მაგრამ არა უმეტეს ამ ფონდის დაგეგმილი ოდენობის 20 პროცენტისა.

7. სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა, გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების დირექტორთა ყურადღება დაეთმოს მიწოდებული პროდუქციისათვის მიმწოდებლებთან არადროული ანგარიშსწორების დაუშვებლობას. სსრ კავშირის სახბანკმა და სსრ კავშირის მშენბანკმა გააძლიერონ კონტროლი სახალხო მეურნეობაში ანგარიშსწორების მდგომარეობისადმი, მიიღონ ქმედითი ზომები იმ საწარმოების მიმართ, რომლებიც სისტემატურად არღვევენ საგადასახდელო დისციპლინას.

საჭიროდ ჩაითვალოს 2-ჯერ გაიზარდოს მიწოდებული პროდუქციის არადროული ანაზღაურებისათვის საურავის ოდენობა. ამ საურავის თანხა მიეკუთვნოს მყიდველ საწარმოთა მატერიალური წახალისების ფონდს.

8. დაწესდეს, რომ, მოყოლებული 1987 წლის 1 იანვრიდან, პრემიები პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის გეგმის შესრულებისათვის გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელ მუშაკებს მიეცემათ მხოლოდ დადებული ხელშეკრულებებისა და საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციათა შეკვეთა-განრიგების შესაბამისად პროდუქციისა და საქონლის მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა 100-პროცენტიანი შესრულებისას. გათვალისწინებულ იქნეს ზემოაღნიშნულ მუშაკთათვის პრემიების მიცემისას მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა შესრულება აგრეთვე სამეურნეო საქმიანობის სხვა შედეგების მიხედვით.

9. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა შეიტანონ სამეურნეო საქმიანობის საკითხებზე დამტკიცებულ დებულებებში ცვლილებანი მიწოდების გეგმის შესრულებისათვის ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მთლიანად შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობის ამაღლებასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ მოამზადოს სსრ კავშირის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მოქმედ კანონმდებლობაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებათა შეტანის შესახებ.

10. პარტიულმა, სამეურნეო, საბჭოთა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა გააძლიერონ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა თითოეული გაერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიანებისა და საწარმოს მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა, როგორც ყველა შრომითი კოლექტივის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფის საფუძვლის, უცილობლივ შესრულებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მ. გორბაჩოვი**	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. რიჟკოვი**

66 „მსუბუქ მრეწველობაში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირების გაუმჯობესებისა და მართვის სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 24 აპრილის № 489 დადგენილების რეალიზაციის ღონისძიებათა თაობაზე

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილების შესასრულებლად მიღებული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 24 აპრილის № 489 დადგენილება „მსუბუქ მრეწველობაში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირების გაუმჯობესებისა და მართვის სულყოფის შესახებ“ ითვალისწინებს, მოყოლებული 1987 წლის 1 იანვრიდან, მსუბუქ მრეწველობაში სამეურნეო მექანიზმის, დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის ღრმა გარდაქმნის განხორციელებას.

მსუბუქ მრეწველობაში მართვის ეკონომიკური მეთოდების როლის ამაღლების, სრულ სამეურნეო ანგარიშზე გაერთიანებათა და საწარმოთა გადაყვანის, მათი დამოუკიდებლობის გაფართოების და მუშაობის საბოლოო შედეგებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების უზრუნველსაყოფად დასახულ ღონისძიებათა მიზანია ძირეული ძვრა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაში, ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და ასორტიმენტის გაფართოება, მომხმარებელთა მოთხოვნაზე წარმოების მოქნილი რეაგირება, სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილება.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს განუხრელ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 24 აპრილის № 489 დადგენილება „მსუბუქ მრეწველობაში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირების გაუმჯობესებისა და მართვის სრულყოფის შესახებ“.

2. მოწონებულ იქნეს ძირითადად საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 24 აპრილის № 489 დადგენილების შესასრულებლად შემუშავებული და კოლეგიის მიერ დამტკიცებული ღონისძიებანი.

3. „მსუბუქ მრეწველობაში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირების გაუმჯობესებისა და მართვის სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 24 აპრილის № 489 დადგენილების მე-12 პუნქტის შესასრულებლად და დარგის მართვის შემდგომი სრულყოფის მიზნით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაუქმდეს 1987 წლის იანვრიდან რესპუბლიკური სამრეწველო ტყავ-ფეხსაცმლის გაერთიანება „საქტყავფეხსაცმელმრეწვი“ და რესპუბლიკური სამრეწველო სამკერვალო გაერთიანება „საქკერვმრეწვი“ და დაექვემდებარონ მათში შემავალი საწარმოო გაერთიანებანი და საწარმოები უშუალოდ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს;

— ასორტიმენტის შემდგომი განვითარების, მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გადიდების, მოდის მოთხოვნებისა და მოსახლეობის მოთხოვნილების შესაბამისი სახალხო მოხმარების ახალ სახეობათა საქონლის წარმოების ათვისების მიზნით შეიქმნას ახალი ტიპის შემდეგი საწარმოები:

ა) **1987 წლის იანვრიდან** — ქუთაისის საწარმოო საფეიქრო-სამკერვალო გაერთიანება ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებისა და არსებული სამკერვალო წარმოების ბაზაზე მისი შემდგომი გაფართოების გათვალისწინებით;

ბ) **1987 წლის იანვრიდან** — გორის საწარმოო საფეიქრო-სამკერვალო გაერთიანება გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს გორის სამკერვალო წარმოებისა და საფირმო მაღაზია „მზიურის“ ბაზაზე;

გ) **1987 წლის 1 ივნისიდან** — თბილისის საწარმოო საფეიქრო-სამკერვალო გაერთიანება „საბჭოთა საქართველო“ თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ და ადგილზე შესაქმნელი სამკერვალო წარმოების ბაზაზე.

— **გარდაიქმნას:**

ა) **1987 წლის 1 ივლისიდან** — ქუთაისის საწარმოო სამკერვალო გაერთიანება „გელათი“ ქუთაისის საფირმო საწარმოო სამკერვალო გაერთიანებად „გელათად“ საფირმო მაღაზიით ქალაქ ქუთაისში;

ბ) **1989 წლის 1 იანვრიდან** — თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონი“ თბილისის ტრიკოტაჟის საფირმო საწარმოო გაერთიანებად „ბახტრიონად“ საფირმო მაღაზიით ქალაქ თბილისში.

წარმოებისადმი უფრო კონკრეტული და ოპერატიული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის მიზნით გამოიყონ დამოუკიდებელ საწარმოებად და მიენიჭოთ სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულებით გათვალისწინებული უფლებები:

ა) **1987 წლის 1 იანვრიდან** — ზესტაფონის სამკერვალო ფაბრიკა ქუთაისის ს. მ. კიროვის სახელობის საწარმოო სამკერვალო გაერთიანების შემადგენლობიდან;

ბ) **1988 წლის 1 იანვრიდან** — თელავის წინდის ფაბრიკა თბილისის წინდის საწარმოო გაერთიანების შემადგენლობიდან;

გ) **1989 წლის 1 იანვრიდან** — ჭიათურის სამკერვალო ფაბრიკა ქუთაისის ს. მ. კიროვის სახელობის საწარმოო სამკერვალო გაერთიანების შემადგენლობიდან და ბოგდანოვკის ტრიკოტაჟის სამკერვალო ფაბრიკა ბოგდანოვკის რაიონის სოფ. პატარა გონდრიოსა და ეშტიის ტრიკოტაჟის სამკერვალო ფილია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებითურთ თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონის“ შემადგენლობიდან.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების 1986-2000 წლების კომპლექსური პროგრამის განხორციელების საფუძველზე მოდის მოთხოვნების შესაბამისად და მატერიალური უზრუნველყოფის სხვადასხვა დონის მოსახლეობის მოთხოვნილების თავისებურებათა გათვალისწინებით შეიქმნას 1987 წლის 1 იანვრიდან სამრეწველო წარმოების გზით მოსახლეობის ინდივიდუალური შეკვეთების მიხედვით ნაწარმის გამომშვები უბნები:

ა) ზედა ტრიკოტაჟისა — თბილისის ტრიკოტაჟის საფირმო საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონში;“

ბ) ტრიკოტაჟის თეთრეულისა — ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „გლდანში;“

გ) შეკერილი და ტრიკოტაჟის ნაწარმისა — ტანსაცმლის რესპუბლიკურ საწარმოო-სამოდელო გაერთიანებაში;

დ) ფეხსაცმლისა — ფეხსაცმლის რესპუბლიკურ საწარმოო-სამოდელო გაერთიანებაში;

— მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლის გაუმჯობესების, ფართო ასორტიმენტის განსაკუთრებით მოდური ნაწარმისა და მსუბუქი მრეწველობის გაუმჯობესებული ხარისხის საქონლის გაყიდვის გადიდების მიზნით გაფართოვდეს საფირმო ვაჭრობის ქსელი იმის შედეგად, რომ გადაეცეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსაგან ხუთი მაღაზია, მათ შორის: მაღაზია „ქსოვილები“ (ქ. თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 30) — 1986 წლის 1 ნოემბრიდან, № 59 მაღაზია „ტრიკოტაჟის ნაწარმი“ (ქ. თბილისი, პუშკინის ქუჩა, 25) — 1987 წლის 1 იანვრიდან, მაღაზია „ახალგაზრდული მოდა“ (ქ. თბილისი, ლენინის ქუჩა, 74) — 1987 წლის 1 იანვრიდან, შერეული მაღაზიები (ქ. ქუთაისი და სოხუმი) — 1988 წლის 1 იანვრიდან;

— ქუთაისისა და სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა აღმოუჩინონ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს დახმარება ამ ქალაქების ცენტრალურ ნაწილში მაღაზიების გამოსაყოფად.

4. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ დარგის მართვის სტრუქტურის გამარტივებასთან დაკავშირებით წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეთანხმებული წინადადებანი სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურისა და სამმართველო პერსონალის რიცხოვნობის შემცირების შესახებ.

5. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ განახორციელოს სპეციალური ღონისძიებანი ბაზრის კონიუნქტურის საკითხთა შესწავლის და სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის ძირეული გაუმჯობესებისათვის და ამის საფუძველზე უზრუნველყოს მრეწველობისათვის განაცხადების წარდგენა როგორც მიმდინარე, ისევე პერსპექტიული პერიოდისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომხმარებელთა რეალური მოთხოვნილების გათვალისწინებით მიღებული ზომების შესახებ ერთი თვის ვადაში მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა აბჭოს.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკის სხვა დაინტერესებულმა სამინისტროებმა და უწყებებმა მიიღონ საჭირო ზომები მსუბუქ მრეწველობაში წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების გაუმჯობესების, საქონლის საბითუმო გაყიდვის ბაზრობათა ორგანიზაციის, მრეწველობისა და ვაჭრობის ურთიერთობის სრულყოფის, ფასწარმოქმნისას ნაწარმის სამომხმარებლო თვისებათა უფრო სრულად გათვალისწინების, საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) უფლებების გაფართოების და სამეურნეო ანგარიშის შემდგომი განვითარების, მთლიანად მსუბუქ მრეწველობაში დაგეგმვის გარდაქმნის მიზნით სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის რეალური მოთხოვნიდან გამომდინარე.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ივლისის № 869 განკარგულებით საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ნება დაერთო შექმნას 1986 წლის 1 სექტემბრიდან ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის რესპუბლიკური საწარმოო-სამოდელო გაერთიანებანი.

* *
*

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, აგრეთვე მსუბუქი მრეწველობის გაერთიანებათა და საწარმოთა შრომითი კოლექტივები მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდებით მუშაობის პირობებში მოიპოვებენ ახალ შრომითს წარმატებებს სახალხო მოხმარების მაღალხარისხოვანი საქონლის გამოშვების მნიშვნელოვანი გაუმჯობესების საქმეში და ამით თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული პარტიის სოციალური პროგრამის განხორციელებაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჯ. პატიაშვილი**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

ქ. თბილისი. 1986 წ. 30 სექტემბერი, № 660

67 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში პერსონალური კომპიუტერების ფართოდ გამოყენების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ დროს რესპუბლიკაში შესამჩნევად გააქტიურდა მუშაობა გამოთვლითი ტექნიკის თანამედროვე საშუალებათა გამოყენების დარგში. სულ უფრო ფართო გამოყენებას პოულობენ მცირე და მიკრო ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები, რომლებიც, მათთვის დამახასიათებელ მთელ რიგ თავისებურებათა გამო, წარმატებით უწევენ კონკურენციას დიდ უნივერსალურ მანქანებს, ზოგ შემთხვევებში კი ავიწროებენ მათ.

ამასთანავე, პერსონალური კომპიუტერების გამოყენების მასშტაბი ჯერჯერობით შორსაა სასურველი დონისაგან. ბევრი სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, სამედიცინო, საგეგმო-საფინანსო, მმართველობითი და სხვა ორგანიზაცია და დაწესებულება მათზე მწვავე მოთხოვნილებას განიცდის. სერიოზულად ჩამორჩება პროგრამულ საშუალებათა დამუშავება, არ არის ქსელურ რეჟიმში ამ მანქანების გამოყენების გამოცდილება.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში, მეცნიერების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში და მმართველობით საქმიანობაში პერსონალური კომპიუტერების ფართოდ დანერგვისა და ეფექტიანად გამოყენებისათვის სამუშაოთა შემდგომი განვითარების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა სისტემატურად განახორციელონ მიზანდასახული მუშაობა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად და სპეციალისტთა მოსამზადებლად მეთორმეტე ხუთწლედში და 2000 წლამდე პერიოდში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სფეროებისა და მმართველობითი საქმიანობის ფართო კომპიუტერიზაციისათვის.

2. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა სამი თვის ვადაში განსაზღვრონ და წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს ორგანიზაციების ნუსხა პერსონალური კომპიუტერების დახმარებით საინფორმაციო-გამოთვლით მომსახურებაზე მოთხოვნილებათა პირველ რიგში და რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილებისა და მთლიანად დარგში მიკროკომპიუტერების მასობრივი დანერგვისათვის საჭირო გარკვეული გამოცდილების დაგროვების მიზნით.

3. რესპუბლიკის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სამინისტროთა და უწყებათა საშუალო სპეციალური, პროფესიულ-ტექნიკური და უმაღლესი სასწავლებლებისათვის პერსონალური ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გასანაწილებლად წინადადებათა მომზადების მიზნით შეიქმნას საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან საექსპერტო კომისია საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განთლების სამინისტროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

4. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებულმა სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტმა გააფართოოს პროფესიულ და მმართველობით საქმიანობაში პერსონალური ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოყენების დარგში მსმენელთა მომზადების პროგრამა. ამ მიზნით შექმნას 1986 წელს შესაბამისი პროგრამულ-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი სასწავლო კლასი.

5. საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება (ალგორითმის) თბილისის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრთან ერთად:

— მოაწყოს 1986 წლის მეორე ნახევრიდან რესპუბლიკურ კომკავშირულ სკოლაში ახალგაზრდა სპეციალისტთა, კომკავშირული კადრებისა და აქტივის სწავლება ავტომატიზებული სამუშაო ადგილების კომპლექსებისა და პერსონალური კომპიუტერების გამოსაყენებლად;

— მოაწყოს აგიტმატარებელ „საქართველოს კომკავშირელში“ სპეციალიზებული კომპიუტერული კლასი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის ახალგაზრდობას შორის მეცადინეობათა ჩატარების მიზნით.

6. მოწონებულ იქნეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეიქმნას:

— ბავშვთა აღმზრდელობით-გამაჯანსაღებელ კომპლექსში „მზიურში“ — კლუბი „კომპიუტერი“;

— ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლესა და ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკურ სადგურში — ნორჩ პროგრამისტთა და ელექტრონიკოსთა მოსამზადებელი ცენტრები;

— გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტში — ახალგაზრდა პროგრამისტის სკოლები პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის;

— საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარ გამოთვლით ცენტრში — ნორჩ პროგრამისტთა სკოლები;

— № 58 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ფილიალის ბაზაზე (დაბა აგუძერაში) — საზაფხულო სასწავლო-გამაჯანსაღებელი კომპიუტერული ბანაკი რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის;

— საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საზაფხულო პიონერბანაკის ბაზაზე კიკეთში და სპეციალური სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „ალგორითმის“ თბილისის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის საზაფხულო პიონერბანაკის ბაზაზე ცხვარიჭამიაში — ნორჩ პროგრამისტთა და ელექტრონიკოსთა სპეციალიზებული საზაფხულო პიონერბანაკები;

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში — ნორჩ მათემატიკოსთა და პროგრამისტთა სკოლები საშუალო ასაკობრივი ჯგუფის (V — VII კლასების) მოსწავლეთათვის.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა და სპეციალური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ალგორითმის“ თბილისის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრმა სამი თვის ვადაში მოამზადონ და წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ზემოაღნიშნული სკოლებისა და ბანაკების მატერიალურ-ტექნიკური, მეთოდიკური, საკადრო უზრუნველყოფისა და განვითარების პერსპექტივის შესახებ.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ:

— მიიღოს ზომები საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საგნის „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები“ სწავლების სასწავლო-მეთოდიკური და პროგრამული უზრუნველყოფისათვის;

— შექმნას 1986 — 1990 წლებში ზოგადსაგანმანათლებლო საგნების (ინფორმატიკა და გამოთვლითი ტექნიკა, მათემატიკა, ფიზიკა) სასწავლო დანიშნულების გამოყენებითი პროგრამების პაკეტები.

8. რესპუბლიკის მთიანი და მაღალმთიანი რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში გამოსაყენებლად გამოთვლითი ტექნიკის მოძრავი კაბინეტების ორგანიზაციის მიზნით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გამოუყოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1986 — 1987 წლებში და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს 1987-1988 წლებში ორ-ორი ავტობუსი, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს 1988 წელს ერთი ავტობუსი მათი განაცხადების თანახმად.

9. ორგანიზაციისა და მართვის პრობლემათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა და საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტმა ალგორ-ციელონ 1986 წელს სამუშაოები პერსონალური კომპიუტერების ბაზაზე რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა მმართველობის პერსონალის ავტომატიზებული სამუშაო ადგილების პროგრამული უზრუნველყოფის შესაქმნელად და განსავითარებლად.

სპეციალური სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „ალგორითმის" თბილისის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრმა და თბილისის გამოთვლითი ტექნიკის ქარხანამ სამ თვის ვადაში მოამზადონ და წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებული წინადადებანი პერსონალური კომპიუტერების კომპლექსური მომსახურების რესპუბლიკური სისტემის შექმნის შესახებ.

11. სპეციალური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ალგორითმის" თბილისის სამეცნიერო-საწარმოო ცენტრმა შექმნას 1986 წლიდან:

— ალგორითმებისა და პროგრამების რესპუბლიკური ფონდი;

— ავტომატიზებული სამუშაო ადგილების კომპლექსებისა და პერსონალური კომპიუტერების ექსპლუატაციისა და ტექნიკური მოსახურების დარგში კადრების მოსამზადებელ-გადასამზადებელი სპეციალური კურსები.

12. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების დარგების გაერთიანებებმა და საწარმოებმა ყოველწლიურად 1 დეკემბრამდე წარუდგინონ სპეციალური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ალგორითმის" თბილისის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრს განაცხადები გამოთვლითი ტექნიკის პროგრამული და ტექნიკური საშუალებების სპეციალისტთა მომზადება-გადამზადების თაობაზე.

13. საფირმო მაღაზია-სალონის „ელექტრონიკის" დირექციამ 1986 წლის მეორე ნახევრიდან მოაწყოს „ბკ-0010" საყოფაცხოვრებო კომპიუტერის მუშაობის თვალსაჩინო დემონსტრაციის სტენდი, რომელიც ასახავს მისი გამოყენების შესაძლებლობებს.

14. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოამზადონ გამოსაცემად 1986 წელს სისტემური დაპროგრამების, მონაცემების ბაზებისა და გამოთვლითი ტექნიკის განმარტებითი ლექსიკონი.

15. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და სპეციალური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ალგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რითმის“ თბილისის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრმა გააფართოონ გამოთვლითი ტექნიკის, პერსონალური კომპიუტერებისა და ლოკალური გამოთვლითი ქსელების საბაზო და გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფის დარგში რესპუბლიკის ორგანიზაციათა საინფორმაციო უზრუნველყოფის სამუშაოები.

განახორციელონ მეთორმეტე ხუთწლედში თანდათანობით გადასვლა მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის გამომყენებელთა მომსახურებაზე პერსონალური კომპიუტერების სახით დაშორებული ინტელექტუალური ტერმინალების მეშვეობით. ამ მიზნით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინონ რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური გეგმების პროექტებში მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის რესპუბლიკური სისტემის აღჭურვა შესაბამისი პერსონალური კომპიუტერებით.

16. კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი დაეკისროს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ჯ. პატიაშვილი	**ო. ჩერქეზია**

ქ. თბილისი, 1986 წ. 14 ოქტომბერი № 673

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

68 ბავშვობიდან ინვალიდთა ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში ხორციელდება ღონისძიებანი ბავშვობიდან ინვალიდებისა და ინვალიდ ბავშვთა აღმზრდელი ოჯახების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა ბავშვობიდან ინვალიდთა მატერიალური ძდგომარეობისა და სამედიცინო მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას, განათლების მიღებისა და შრომითი მოწყობის საქმეში მათთვის უფრო ხელსაყრელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირობების შექმნას „ბავშვობიდან ინვალიდთა ცხოვრების პირობების მუდმივმი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1986 წლის 27 მარტის № 400 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ:

— შეიმუშაოს და განახორციელოს 1986 წლის ბოლომდე ღონისძიებანი გონებრივი და ფიზიკური განვითარების მხრივ ნაკლულ ბავშვთა და მოზარდთა, განსაკუთრებით სპეციალიზებულ სკოლამდელ დაწესებულებებში, სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში, სასწავლებელ-ინტერნატებში, ტექნიკუმ-ინტერნატებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, სანატორიუმებსა და სახლ-ინტერნატებში მყოფთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის და მიუჩინოს თითოეულ ასეთ დაწესებულებას სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება აღდგენითი და სხვა სახეობათა მკურნალობის ჩატარებაში საჭირო დახმარების გასაწევად; უზრუნველყოს ზემოაღნიშნული დაწესებულებანი თანამედროვე სამედიცინო მოწყობილობით, აპარატურითა და საჭირო სამკურნალო პრეპარატებით, დააკომპლექტოს ისინი სამედიცინო კადრებით;

— საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად ორი თვის ვადაში განსაზღვროს სამედიცინო კაბინეტების, გონებრივი და ფიზიკური განვითარების მხრივ ნაკლულ ბავშვთა და მოზარდთა ინტერნატების სავალდებულო მოწყობილობისა და ინვენტარის ნუსხა;

— დროულად უზრუნველყოს ბავშვობიდან ინვალიდთა აღდგენითი მკურნალობისა და რეაბილიტაციის ჩატარება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში და აღდგენითი მკურნალობის საავადმყოფოებში (განყოფილებებში.)

2. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ:

— ჩაატაროს 1986 წლის 1 დეკემბრამდე I და II ჯგუფების ბავშვობიდან ინვალიდთა და 16 წლამდე ასაკის ინვალიდ ბავშვთა დახმარებების გადაანგარიშება და უზრუნველყოს აღნიშნულ პირთათვის დახმარების მიცემა ახალი ოდენობით 1987 წლის 1 იანვრიდან;

— შეიმუშაოს და განახორციელოს 1987 წლის 1 იანვრამდე საპროთეზო-ორთოპედიულ ნაკეთობათა ნომენკლატურის გაფართოების, ხარისხის ამაღლების, ფუნქციონალური თვისებების გაუმჯობესების, ბავშვთა პროთეზირების სრულყოფის, თანამედროვე მოწყობილობით, მაღალხარისხოვანი ნედლეულითა და მასალებით თბილისის საპროთეზო-ორთოპედიული ქარხნის უზრუნველყოფის, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის საბავშვო სახლ-ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, მათში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენების გაუმჯობესების ღონისძიებანი.

3. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— მიიღონ დამატებითი ზომები გონებრივი და ფიზიკური განვითარების მხრივ ნაკლულ ბავშვთა და მოზარდთა სპეციალური სკოლა-ინტერნატების კურსდამთავრებულთა პროფესიული სწავლების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად;

— განიხილონ და გადაწყვიტონ 1986-1987 წლებში საკითხი ზემოაღნიშნული სკოლა-ინტერნატების კურსდამთავრებულთა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში პროფესიული მომზადების გაფართოების შესახებ.

4. საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა სრულიად საკავშირო ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „დინამოს“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მონაწილეობით განახორციელონ მიმდინარე წლის ბოლომდე ღონისძიებანი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მიმართულების სპორტული ჯგუფების, სექციების, კლუბების შესაქმნელად, რომელთა მომსახურებითაც შეუძლიათ ისარგებლონ ინვალიდებმა; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ახალგაზრდა ასაკის ინვალიდთა ჩაბმას ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი, აღმზრდელობითი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის ორგანიზაციასა და განხორციელებაში.

5. რჩევა მიეცეთ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს I და II ჯგუფების ბავშვობიდან ინვალიდთა და სხვა ინვალიდთა საბინაო პირობების გაუმჯობესებისას მისცენ მათ საცხოვრებელი ბინა სამუშაო ადგილთან და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებთან საცხოვრებელი ადგილის დაახლოების აუცილებლობის გათვალისწინებით, გაუწიონ აღნიშნულ ინვალიდებს ყოველმხრივი დახმარება ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინისა და სამეურნეო დანიშნულების სხვა ნაგებობათა რემონტისა და მშენებლობის საქმეში.

6. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, პროფკავშირთა საოლქო საბჭოებმა, რესპუბლიკურმა, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა მუდმივი ყურადღება დაუთმონ ბავშვობიდან ინვალიდებისა და ინვალიდ ბავშვთა აღმზრდელი ოჯახების მოთხოვნილება-საჭიროებებს, დიდმნიშვნელოვან სოციალურ ამოცანად მიიჩნიონ მათი სწავლის, ნაყოფიერი მუშაობისა და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა; განიხილონ გონებრივი და ფიზიკური განვითარების მხრივ ნაკლულ ბავშვთა და მოზარდთა თითოეულ სპეციალიზებულ ინტერნატულ დაწესებულებაში არსებული მდგომარეობა და მუდმივი კონტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როლი დაუწესონ ამ დაწესებულებათა მუშაობას, გადააქციონ ისინი ნამდვილ-დაგულო საზოგადოებრივი ყურადღებისა და ზრუნვის ობიექტად.

პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, საწარმოთა, საბჭოთა მეურნეობათა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა გამოიჩინონ განსაკუთრებული ზრუნვა მომუშავე ბავშვობიდან ინვალიდთა მიმართ, მიუჩინონ მათ დამრიგებლებად შრომის ვეტერანები, წარმოების მოწინავენი და ნოვატორები, ჩაებან ისინი აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში; შეუქმნან პროფესიული და კულტურული ზრდის პირობები, გაუუმჯობესონ საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები.

7. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ „ბავშვობიდან ინვალიდთა ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1986 წლის 27 მარტის № 400 დადგენილებით:

ა.) გადაწყდა, 1987 წლის 1 იანვრიდან გაუდიდდეთ დახმარების ოდენობა 16 წელს მიღწეულ ბავშვობიდან ინვალიდებს: ინვალიდობის I ჯგუფისა — 30-დან 50 მანეთამდე და ინვალიდობის II ჯგუფისა — 25-დან 40 მანეთამდე თვეში, 16 წლამდე ასაკის ბავშვობიდან ინვალიდ ბავშვებს — 20-დან 30 მანეთამდე თვეში;

ამავე დროს დაწესდა, რომ 16 წლამდე ასაკის ბავშვობიდან ინვალიდ ბავშვებს წამალი ექიმის რეცეპტის მიხედვით მიეცემათ უფასოდ, ხოლო I და II ჯგუფების ბავშვობიდან ინვალიდებს, რომლებიც დახმარებას იღებენ, ექიმის რეცეპტის მიხედვით შესაძენი წამალი მიეცემათ 50 პროცენტი ფასდაკლებით:

მხედველობის მხრივ ინვალიდ ბავშვებს, ორი კიდურის არმქონე ან ორი კიდურის დამბლიან ინვალიდ ბავშვებს, აგრეთვე ამ მიზეზების გამო I და II ჯგუფების ინვალიდებს მიენიჭათ უფლება უფასოდ იმგზავრონ ყოველგვარ საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტზე (ტაქსის გარდა) და საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტზე (ტაქსის გარდა) სოფლად საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში;

ბავშვობიდან ინვალიდი ბავშვებისა და სხვა ინვალიდებისათვის, აგრეთვე მგზავრობისას I ჯგუფის ინვალიდთა თანმხლები პირებისათვის (არა უმეტეს ერთი თანმხლებისა) შემოღებულია შემოდგომა-ზამთრის პერიოდში რკინიგზით, საჰაერო, წყლისა და საქალაქთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრობის 50-პროცენტიანი ფასდაკლება;

— დაევალა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს:

განახორციელოს სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად ბავშვობიდან ინვალიდთა და სხვა ინვალიდთა რეაბილიტაციის თანამედროვე მეთოდების შემდგომი დამუშავება;

სსრ კავშირის განათლების სამინისტროსთან, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიასთან და სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად შეიმუშაოს და განახორციელოს 1986 — 1987 წლებში დამატებითი ღონისძიებანი გონებრივი და ფიზიკური განვითარების მხრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკლულ სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა გამოვლენისა და აღრიცხვის მიზნით;

— ნებადართულია მიღებულ იქნენ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში კონკურსგარეშე I და II ჯგუფების ინვალიდები, რომლებსაც საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების დასკვნის თანახმად შეუძლიათ სწავლა აღნიშნულ სასწავლებლებში.

მიეცეთ II ჯგუფის ინვალიდებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 10 დეკემბრის № 1010 დადგენილების მე-6 პუნქტით I ჯგუფის ინვალიდებისათვის გათვალისწინებული სტიპენდიები (დამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში) შესაბამისი სასწავლებლებისათვის დაწესებული სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში;

დაწესდა, რომ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულ I და II ჯგუფების ინვალიდებს (სწავლების ფორმის მიუხედავად) სამინისტროები და უწყებები გაგზავნიან სამუშაოდ, როგორც წესი, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მათ მიერ შეძენილი სპეციალობის შესაბამისად;

— დაევალა სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად შეიმუშაოს და დაამტკიცოს 6 თვის ვადაში იმ პროფესიების ნუსხა, რომლებშიც ეწყობა გონებრივი და ფიზიკური განვითარების მხრივ ნაკლულ ბავშვთა და მოზარდთა სწავლება;

— დაევალა სსრ კავშირის სახმშენს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის მონაწილეობით სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით:

განიხილოს გონებრივი და ფიზიკური განვითარების მხრივ ნაკლულ ბავშვთა და მოზარდთა სპეციალური სკოლა-ინტერნატების, სასწავლებელ-ინტერნატების, ტექნიკუმ-ინტერნატების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, სანატორიუმებისა და სახლ-ინტერნატების ისეთ შენობათა ტიპობრივი პროექტების შემუშავების მიზანშეწონილობის საკითხი, რომლებიც შეესაბამებიან თანამედროვე მოთხოვნებს და უზრუნველყოფენ ამ პირთა სწავლების, შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციისათვის, მათი სამედიცინო მომსახურებისა და ფიზიკური განვითარებისათვის საჭირო პირობებს;

შეიმუშაოს და დაამტკიცოს 1986 — 1987 წლებში ზემოაღნიშნული დაწესებულებებისათვის მოწყობილობისა და ინვენტარის სახარჯთაღრიცხვო ნორმები;

— დაევალათ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს მიუჩინონ 1986 წელს გონებრივი და ფიზიკური განვითარების მხრივ ნაკლულ ბავშვთა და მოზარდთა სასწავლებელ-ინტერნატებს, ტექნიკუმ-ინ-

ტერნატებს, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს, სანატორიუმებსა და სახლ-ინტერნატებს შეფი გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები, ამასთან ნება დართონ მათ საჭიროების კვალობაზე გამოიყენონ დადგენილი წესით ამ დაწესებულებათა მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტისა და აღჭურვისათვის სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრები;

ნება დაერთოთ გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს უსასყიდლოდ გადასცენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს ზემდგომი ორგანოებისა და სსრ კავშირის სახმომარაგების ტერიტორიული ორგანოებისათვის ან იმ სამინისტროთა და უწყებათა გამსაღებელი ორგანოებისათვის შეუტყობინებლად, რომლებსაც ეკისრებათ შესაბამის მატერიალურ ფასეულებათა რეალიზაცია, გამართული ტრანსპორტი და მოწყობილობა გონებრივი და ფიზიკური განვითარების მხრივ ნაკლულ ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული ინტერნატული დაწესებულებების უზრუნველსაყოფად;

— დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად განიხილონ და გადაწყვიტონ 1988 წლამდე ინვალიდ ბავშვთა სპეციალიზებული გამაჯანსაღებელი დაწესებულებების შექმნის საკითხი;

— დაევალოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს მონაწილეობით ექვსი თვის ვადაში შეიმუშაონ რეკომენდაციები პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საბჭოების, სპორტული კომიტეტებისა და საუწყებო ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სპორტულ ნაგებობებში ფიზკულტურულ კოლექტივებში ინვალიდებთან ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაციის შესახებ.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს ნება დაერთოთ:

— უფასოდ მისცენ გონებრივი და ფიზიკური განვითარების მხრივ ნაკლულ ბავშვთა და მოზარდთა სოფლად და ქალაქის ტიპის დაბებში (მუშათა დაბებში) არსებული სასწავლებელ-ინტერნატების, ტექნიკუმ-ინტერნატების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, სახლ-ინტერნატების, სანატორიუმების, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლამდელი დაწესებულებების ხელმძღვანელ, სამედიცინო, პედაგოგიურ მუშაკებს, საწარმოო სწავლების უფროს ოსტატებსა და ოსტატებს და მათთან ერთად მცხოვრებ მათი ოჯახების წევრებს ბინები გათბობითა და განათებით მოცემულ ადგილზე მოქმედი ნორმების მიხედვით;

— შეუნარჩუნონ პენსიაზე გადასულ ზემოაღნიშნულ მუშაკებს, აგრეთვე მათთან ერთად მცხოვრებ მათი ოჯახების წევრებს დაწესებული შეღავათები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ გონებრივი და ფიზიკური განვითარების მხრივ ნაკლულ ბავშვთა და ზეზარდთა სოფლად და ქალაქის ტიპის დაბებში (მუშათა დაბებში) განლაგებულ სასწავლებელ-ინტერნატებში, ტექნიკუმ-ინტერნატებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, სახლ-ინტერნატებში, სანატორიუმებში, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლამდელ დაწესებულებებში მათი მუშაობის საერთო სტაჟი შეადგენს არანაკლებ 10 წელს;

ბ) სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს დაევალათ სამი თვის ვადაში განსაზღვრონ ბავშვობიდან ინვალიდებისა და სხვა ინვალიდების, აგრეთვე ინვალიდ ბავშვთა დედების მოთხოვნილება შრომის სხვადასხვა ფორმაზე და უზრუნველყონ მათი შრომითი მოწყობა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მათ შორის შინ მუშაობით და არასრული სამუშაო დროის რეჟიმით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე
ჯ. პატიაშვილი	**ზ. ჩხეიძე**	**თ. მოსაშვილი**

ქ. თბილისი, 1986 წ. 30 ოქტომბერი, № 698

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

69 ტყეებში და სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაუფარავ მიწებზე ტურისტული განაკების, დასასვენებელი ბაზებისა და კარვის ტიპის სხვა ობიექტების განლაგების ნებართვის მიცემის წესისა და კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნებისათვის ტყით სარგებლობის წესის შესახებ

საქართველოს სსრ კანონთა წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით და საქართველოს სსრ ტყის კოდექსის 48-ე და 71-ე მუხლების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე ტურისტული განაკების, დასასვენებელი ბაზებისა და კარვის ტიპის სხვა ობიექტების განლაგებისათვის ნებართვის მისაცემად სამინისტროები, უწყებები, ცენტრალური რესპუბლიკური დაწესებულებანი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც დაინტერესებული არიან მათთვის მიწის ნაკვეთის შერჩევით, უგზავნიან ამის შესახებ შუამდგომლობას სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს მოთხოვნილი ნაკვეთის განლაგების ადგილის მიხედვით. იმ შემთხვევაში, როცა ნავარაუდევია ნაკვეთის გამოყოფა უშუალოდ ქალაქების, დაბების სარგებლობაში არსებული მიწებიდან, შუამდგომლობა აღიძვრება სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საქალაქო, სადაბო საბჭოს აღმასკომის წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული ნაკვეთების გამოყოფის საკითხი წყდება მიწის ნაკვეთების გამოყოფის დებულების შესაბამისად.

2. დაწესდეს, რომ ქალაქის ტყეები, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების გარშემო მწვანე ზონების ტყეები, აგრეთვე სხვა ტყეები შეიძლება გამოყენებულ იქნეს კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნებისათვის, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ტყეების ძირითად დანიშნულებასა და შესაბამის ტყითმოსარგებლეთა ინტერესებს.

სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომები სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების წარდგენით განსაზღვრავენ ტყის უბნებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნებისათვის, როგორც წესი, სატყეო მეურნეობის განვითარების გენერალური სქემების, აგრეთვე რაიონულ დაგეგმარებათა სქემებისა და ქალაქების განვითარების გენერალური გეგმების საფუძველზე.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები უზრუნველყოფენ კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნებისათვის ტყეების გამოყენების ორგანიზაციის, ტყის უბნების კეთილმოწყობისა და დასასვენებლად მყოფი მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა ღონისძიების კოორდინაციას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 5 სექტემბერი, № 600

70 თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საცალო ვაჭრობის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ წარმოდგენილი თანდართული დებულება თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საცალო ვაჭრობის სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 15 სექტემბერი, № 611

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 15 სექტემბრის № 611 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საცალო ვაჭრობის სამმართველოს შესახებ

I. ზოგადი ნაწილი

1. ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საცალო ვაჭრობის სამმართველოს ქმნის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო და იგი საქართველოს სსრ კონსტიტუციის 150-ე მუხლის შესაბამისად თავის საქმიანობაში ექვემდებარება როგორც თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს და მის აღმასკომს, ისე საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს.

2. სამმართველო ახორციელებს ხელმძღვანელობას საცალო ვაჭრობისადმი ქ. თბილისში, ღებულობს ზომებს მის განსავითარებლად, პასუხისმგებელია ვაჭრობის მდგომარეობისა და განვითარებისათვის, მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების ხარისხისათვის.

3. თავის საქმიანობაში სამმართველო ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროების ბრძანებულებითა და მითითებებით, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოსა და მისი აღმასკომის გადაწყვეტილებებითა და განკარგულებებით, აგრეთვე ამ დებულებით.

II. ძირითადი ამოცანები

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საცალო ვაჭრობის სამმართველოს ძირითადი ამოცანებია:

1. საცალო ვაჭრობის ორგანიზაცია და სრულყოფა მოსახლეობის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილების, მომსახურების კულტურის ამაღლების მიზნით.

2. საცალო ვაჭრობის საქონელბრუნვის გეგმისა და დარგის განვითარების სხვა საგეგმო მაჩვენებლების შესრულება.

3. ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება მოქმედი სიმძლავრეების, ძირითადი ფონდების, კაპიტალური დაბანდების, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენება.

4. ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება, რომლის მიზანია ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ხელით შრომის გამოყენების შემცირება, მოწყობილობათა რაციონალური გამოყენება, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების ყოველმხრივი ეკონომია.

5. დაგეგმვის სრულყოფა და სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერება მოქმედ საწარმოთა ეფექტიანობის ასამაღლებლად და საქონლის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

6. საქვეუწყებო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით.

7. საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა.

III. უფლება-მოვალეობანი

დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად საცალო ვაჭრობის სამმართველო:

1. ამუშავებს საცალო საქონელბრუნვისა და ქალაქის ვაჭრობის განვითარების სხვა საგეგმო მაჩვენებლებს, პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტებს რესპუბლიკაში მოქმედი დაგეგმვის წესის შესაბამისად.

2. ადგენს და უგზავნის საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებს ვაჭრობის განვითარების გეგმებს, რომელთა შესრულების უზრუნველსაყოფად ამუშავებს ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებს და ახორციელებს კონტროლს მათი შესრულებისადმი.

3. ანაწილებს და გადაანაწილებს საქვეუწყებო ორგანიზაციებს შორის საქონლის საცალო ფონდებს.

4. ამუშავებს სასაქონლო მარაგის ანგარიშსწორების ნორმატივებს დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიხედვით, ახორციელებს სასაქონლო მარაგის ანალიზს და ახდენს მის დროულ გადაადგილებას;

5. საბითუმო და სავაჭრო ორგანიზაციებთან ერთად სწავლობს და პროგნოზს უკეთებს მოსახლეობის მოთხოვნილებას სახალხო მოხმარების საქონელზე, ამუშავებს და წარუდგენს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს განაცხადს საქონლის წარმოებისა და მიწოდების შესახებ.

6. წარუდგენს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომსა და მრეწველობის მართვის ადგილობრივ ორგანოებს წინადადებებს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ვაჭრობისათვის მისი მიწოდების გადიდების შესახებ.

7. დაინტერესებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებთან ერთად ამუშავებს სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების მრეწველობასთან რაციონალური სამეურნეო კავშირის განვითარების ღონისძიებებს.

8. ახორციელებს კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ საქონლის მიწოდების ხელშეკრულებათა, აგრეთვე სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებისა და შესრულებისადმი.

9. წარუდგენს მრეწველობას მოთხოვნას, საქონლის ასორტიმენტის გაფართოების, მისი ხარისხისა და შეფუთვის გაუმჯობესების, აგრეთვე წარმოებიდან იმ საქონლის ამოღებისა და უფრო თანამედროვე საქონლით შეცვლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ, რომელიც მოძველდა და რომელზეც არ არის მოსახლეობის მოთხოვ-ნილება.

10. ღებულობს ზომებს სასურსათო და არასასურსათო საქონლის დამატებითი რესურსების გამოსაძებნად და საქონელბრუნვაში მოსაქცევად.

11. ორგანიზაციას უწევს საცალო სავაჭრო ქსელის საქონელმომარაგებას, ხელს უწყობს საქონელბრუნვის მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვას.

12. ახორციელებს ღონისძიებებს სამრეწველო საწარმოებიდან, საბითუმო ბაზებიდან და სხვა მომწოდებლებიდან საქონლის უშუალოდ საცალო ვაჭრობის ქსელში საავტომობილო ტრანსპორტით ცენტრალიზებული მიწოდების გასაფართოებლად.

13. ორგანიზაციას უწევს სახალხო მოხმარების საქონლის გადაფასების, მოძველებული ფასონისა და მოდელის არასასურსათო საქონლის, აგრეთვე ისეთი საქონლის ჩამოფასების სამუშაოებს, რომელმაც ნაწილობრივ დაკარგა პირვანდელი სახე.

14. უზრუნველყოფს დადგენილი წესით სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებს სახალხო მოხმარების საქონლის ფასების პრეისკურანტებით, აგრეთვე სტანდარტებითა და სხვა ნორმატიულ-ტექნოლოგიური დოკუმენტაციით.

15. ახორციელებს კონტროლს ფასებზე მუშაობისადმი საცალო სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებში.

16. საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ერთად განიხილავს სხვადასხვა უწყებრივი დაქვემდებარების სავაჭრო ორგანიზაციათა საქმიანობის ზონების განსაზღვრის საკითხებს.

17. ამუშავებს საცალო ვაჭრობის ქსელის განვითარებისა და სპეციალიზაციის პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს არსებული მატერიალური და ფინანსური რესურსების შესაბამისად.

18. ამტკიცებს დაქვემდებარებული სავაჭრო ორგანიზაციების მოქმედ სავაჭრო საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ხელახალი ტექნიკური აღჭურვის გეგმებს, უზრუნველყოფს მათს შესრულებას.

19. კონტროლს უწევს სავაჭრო საწარმოების მიერ ვაჭრობისა და საქონლის გაყიდვის სანიტარიული წესების დაცვას და შეიმუშავებს ამ წესების სრულყოფის წინადადებებს.

20. ხელმძღვანელობს და პასუხისმგებელია დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების საფინანსო საქმიანობის მდგომარეობისათვის.

21. ახორციელებს კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ საფინანსო გეგმების შესრულებისადმი, საკუთარი საბრუნავი სახსრების დაცვის, ბიუჯეტთან, მომწოდებლებთან, ქვემოიჯარეებთან, ბანკთან, მუშებსა და მოსამსახურეებთან დროული ანგარიშსწორებისადმი.

22. ქმნის, დადგენილი წესით, ცენტრალიზებულ ფონდებს, რისთვისაც ხსნის სათანადო ანგარიშს ბანკის დაწესებულებებში, ნერგავს ანგარიშსწორების პროგრესულ ფორმებს, რომლებიც ხელს უწყობენ საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის გადახდის დაჩქარებას და საგადამხდელო დისციპლინის განმტკიცებას.

23. ახორციელებს ღონისძიებებს დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში სამეურნეო ანგარიშის განსამტკიცებლად, რენტაბელობის ასამაღლებლად და დაგროვების მაქსიმალურად გაზრდისათვის, ძირითადი ფონდების, საბრუნავი სახსრებისა და საბანკო კრედიტების ეფექტიანი გამოყენებისათვის.

24. რევიზიას უწევს საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, სრულყოფს შიდასაუწყებო სარევიზიო მუშაობას, ახორციელებს ღონისძიებებს სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველსაყოფად.

25. ორგანიზაციას უწევს სააღრიცხვო საქმის ცენტრალიზაციასა და მექანიზაციას, აღრიცხვისა და თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის პროგრესული მეთოდების დანერგვას, აზოგადებს და ავრცელებს ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილებას.

26. დადგენილი წესით იღებს სტატისტიკურ ოპერატიული ანგარიშების მასალებს, ადგენს შემხვედრ ბუღალტრულ ანგარიშებსა და ბალანსებს, უზრუნველყოფს სათანადო ორგანოებისათვის მათ დროულ გადაცემას.

27. ამუშავებს შრომისა და ხელფასის ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტებს საქვეუწყებო ორგანიზაციების მიხედვით, ახორციელებს კონტროლს მათი შესრულებისადმი.

28. გეგმავს და ანაწილებს ზღვრულ ასიგნებებს საქვეუწყებო ორგანიზაციების მმართველობის აპარატის შესანახად და კონტროლს უწევს მათს ხარჯვას.

29. კონტროლს უწევს შრომის ანაზღაურებისა და პრემირების შესახებ ნორმატიული დოკუმენტების მიღების წესს.

30. სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის კომიტეტთან ერთად ორგანიზაციას უწევს მუშაობას სოციალისტური შეჯიბრების განვითარებისა და სრულყოფისათვის, უზრუნველყოფს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის განვითარებას, მოწინავე ინიციატივებისა და თაოსნობათა დანერგვას.

31. ამუშავებს კაპიტალურ დაბანდებათა და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ხუთწლიან და წლიურ გეგმებს და ახორციელებს კონტროლს მათი შესრულებისადმი.

32. ხელმძღვანელობს საცალო ვაჭრობის საწარმოთა კაპიტალურ მშენებლობას, უზრუნველყოფს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და სიმძლავრეთა ამოქმედების გეგმების შესრულებას.

33. წარუდგენს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომსა და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემის შემხვედრი გეგმების, აგრეთვე მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციის პროექტებს საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებიდან ხუთ-პროცენტიანი ანარიცხების ხარჯზე და მათი დამტკიცების შემდეგ უზრუნველყოფს აღნიშნული ანარიცხების სრულ და ეფექტიან გამოყენებას.

34. იღებს ზომებს საჯარო გადასახადის თანხის 50 პროცენტი, სახსრების მთლიანად გამოყენებისათვის, რაც გათვალისწინებულია იჯარიანი ფართების შენობებისა და მოწყობილობის კაპიტალური რემონტისათვის.

35. ორგანიზაციას უწევს საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას.

36. ამუშავებს საქვეუწყებო საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად ტექნიკური აღჭურვის გეგმებს და ახორციელებს კონტროლს მათი შესრულებისადმი.

37. უზრუნველყოფს ტარის მეურნეობის ეფექტიანი მართვის ორგანიზაციას.

38. უზრუნველყოფს საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს კვალიფიციური კადრებით, ორგანიზაციას უწევს მასობრივი პროფესიის კადრების მომზადებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, ახორციელებს მუშაობას კადრების აღსაზრდელად შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით.

39. ახორციელებს ღონისძიებებს შრომის პირობების გასაუმჯობესებლად, უსაფრთხოების ტექნიკის წესების დასაცავად, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და საწარმოო სანიტარიის მოთხოვნათა შესასრულებლად.

40. უზრუნველყოფს პროფკავშირის კომიტეტის მონაწილეობით საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკების საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებას.

41. ახორციელებს ხელმძღვანელობას სამართლებრივი მუშაობისადმი საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

42. შეიმუშავებს და დადგენილი წესით აყენებს წინადადებებს შრომის დადგენილი გეგმის ფარგლებში საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების შექმნის, რეორგანიზაციისა და გაუქმების შესახებ.

43. იხილავს მოქალაქეთა წინადადებებს, განცხადებებსა და წერილებს, იღებს ზომებს საჩივრების წარმომშობი მიზეზების აღმოსაფხვრელად.

IV. მართვის წესი

1. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საცალო ვაჭრობის სამმართველოს სათავეში უდგას უფროსი, რომელსაც ნიშნავს თანამდებობაზე და ათავისუფლებს თანამდებობიდან თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი და ამტკიცებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგია.

2. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საცალო ვაჭრობის სამმართველოს უფროსი:

— პერსონალურად აგებს პასუხს საცალო ვაჭრობის სამმართველოსათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის, აწესებს თავისი მოადგილეების, განყოფილებათა გამგეების პასუხისმგებლობას სამმართველოს, ცალკეული სამუშაო უბნებისადმი ხელმძღვანელობისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

—გამოსცემს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საცალო ვაჭრობის სამმართველოს კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილებათა, მისი აღმასკომის გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა, ასევე სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ბრძანებებისა და მითითებების საფუძველზე;

— ამტკიცებს დებულებებს სამმართველოს აპარატის ქვედანაყოფების შესახებ, აგრეთვე საქვეუწყებო ორგანიზაციების დებულებებსა და წესდებებს;

— ნიშნავს და ათავისუფლებს საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებსა და სხვა თანამდებობის პირებს, რომლებიც არ შედიან თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ნომენკლატურაში;

იწვევს დადგენილი წესით (წელიწადში ერთხელ მაინც) აქტივის თათბირს სამმართველოსა და საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობის შედეგების განსახილველად;

— განაგებს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საცალო ვაჭრობის სამმართველოს სახსრებს საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ დაწესებული და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

3. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საცალო ვაჭრობის სამმართველოს უფროსის მოადგილეები, მთავარი ბუღალტრები და იურიდიული განყოფილების უფროსი (მთავარი იურისკონსულტი) ინიშნებიან თანამდებობაზე და თავისუფლდებიან თანამდებობიდან თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსის წარდგინებით.

4. საცალო ვაჭრობის სამმართველოს უფროსის მოადგილეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებენ სამმართველოს სახელით, არიან სამმართველოს წარმომადგენლები სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, ასრულებენ სამეურნეო ოპერაციებს განსაკუთრებული მინდობილობების გარეშე და პასუხს აგებენ დაკისრებული სამუშაოებისათვის.

5. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საცალო ვაჭრობის სამმართველოში იქმნება ტექნიკურ-ეკონომიკური საბჭო წინადადებათა განსახილველად ვაჭრობის განვითარების ძირითად მიმართულებათა საკითხებზე, რეკომენდაციების შესამუშავებლად მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დასანერგავად.

ტექნიკურ-ეკონომიკური საბჭოს შემადგენლობას და მის დებულებას ამტკიცებს სამმართველოს უფროსი.

6. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საცალო ვაჭრობის სამმართველოს აპარატის სტრუქტურა, შტატები და ხელფასის ფონდი მტკიცდება დადგენილი წესით.

7. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საცალო ვაჭრობის სამმართველოს აქვს ბეჭედი თავისი დასახელებით, შტამპი და ბლანკები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

71 აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ საფთიაქო სამმართველოების შესახებ

ავტონომიური რესპუბლიკების სააფთიაქო დაწესებულებათა საქმიანობისადმი კონტროლის გაძლიერების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად მათთვის ქმედითი დახმარების გაწევის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს აფხაზეთისა და აჭარის სააფთიაქო სამმართველოები თავიანთ საქმიანობაში ექვემდებარებიან შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ სააფთიაქო სამმართველოს.

2. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან ერთად ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოადგინოს დასამტკიცებლად დებულებანი აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სააფთიაქო სამმართველოებისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი. 1986 წ. 19 სექტემბერი, № 622

72 „საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სისტემის მართვის ორგანოების სტრუქტურის მუშაკთა რაოდენობისა და შრომის ანაზღაურების პირობების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 დეკემბრის № 851 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლისა და დამატების თაობაზე

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 23 აპრილის № 281 დადგენილებით შეიქმნა საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სამელიორაციო სისტემათა და წყალსამეურნეო ნაგებობათა ექსპლუატაციის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქწყალექსპლუატაცია“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ჩარიცხულ იქნეს რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქწყალექსპლუატაცია“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 დეკემბრის № 851 დადგენილების № 2 დანართში ჩამოთვლილ საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ძირითად ორგანიზაციათა ნუსხაში.

2. გაუთანაბრდეს რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქწყალ-ექსპლუატაციის“ უფროსი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფისა და სამედიცინო მომსახურების მხრივ საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მთავარ დარგობრივ სამმართველოთა უფროსებს და გავრცელდეს მასზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 დეკემბრის № 851 დადგენილების მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შეღავათები.

3. შეყვანილ იქნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 დეკემბრის № 851 დადგენილების მე-9 პუნქტის პირველ აბზაცში გათვალისწინებულ თანამდებობათა ნუსხაში იმ მთავარი დარგობრივი სამმართველოების უფროსთა მოადგილეებთან, რომლებსაც სათავეში უდგანან საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარის მოადგილეები, და აღნიშნული კომიტეტის კვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეებთან ერთად რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქწყალ-ექსპლუატაციის“ უფროსის მოადგილეები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 26 სექტემბერი, № 629

ინდექსი—76187
ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 5 1986 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/II-87 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16.
საბეჭდი თაბახი 4,5, სააღრიცხვო თაბახი 4,5.

შეკვეთა 1078 უე 10614 ტირაჟი 2010

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა